დიდი წარსულის სიახლოვე A4

ბესიკ ხარანაულის წიგნისა და „არტეს" პრეზენტაცია „პარნასში" A5

TV-პროგრამა A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — კვირა, 8 ივნისი, 2003 წელი. №155 (367) — ფასი 50 თეთრი

## გატაცებულებს არატრადიციული ხერხებით ეძებენ

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბათიაშვილის აზრით, კოდორის ხეობაში გატაცებულ გაეროს დამკვირვებელთა ბედი დღემდე უცნობია, რადგან მათი ძებნა მხოლოდ ადგილობრივი ძალებით მიმდინარეობს. **"მთავარი მიზეზი იმისა, რომ გაეროს გატაცებული თანამშრომლების ძებნის ოპერაციას შედეგი არ მოჰყოლია, ის გახლავთ, რომ ოპერაცია მხოლოდ ემზარ კვიციანის ხელმძღვანელობით მოქმედი სპეციალური რაზმის მიერ ტარდება, რაც აშკარად არ არის საკმარისი"**, - განაცხადა მან.

ბათიაშვილის აზრით, გატაცებულთა ძებნაში საქართველოს ყველა ძალოვანი სტრუქტურა აქტიურად უნდა ჩაერთოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

### თვალსაზრისი

## ნავთობსადენის გონივრული მარშრუტი - რუსეთის სამხედრო ბაზების საპირწონე

საქართველოს მთავრობამ, ჯერ "ბრიტიშ პეტროლიუმის" პრეზიდენტი ლორდი ჯორჯ ბრაუნი დააიმედა მილსადენების პროექტის შეუფერხებელ განვითარებაში, ორი დღის შემდეგ კი, რუსული ენერგოგიგანტის "გაზპრომის" შეფს ალექსეი მილერს საქართველოს ბაზარზე შემოსვლას დაჰპირდა.

A3

### რევიუ

## ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა პენ-მარათონის გემმა

გუშინ, დილის 12 საათისთვის, ფოთის პორტში უამრავი ხალხი ირეოდა. ყველა მოუთმენლად ელოდა, როდის შეცურავდა გაშლილ ზღვაში ფერად-ფერადი ალმებით მორთული გემი "კაპიტანი თავართქილაძე" მწერალთა ეკიპაჟით.

A4

### სპორტი

## ჟიუსტინ ენინი "როლან გაროსის" ჩემპიონია

შთამბეჭდავი სერიის შემდეგ ენინისთვის "როლან გაროსის" კორტებზე გამარჯვება, მართლაც, ალალი იყო. მით უფრო, რომ ამ შვიდი ბრძოლიდან ჟიუსტინ ენინს მხოლოდ ორჯერ დასჭირდა სამი სეტი თავისი უპირატესობის დასადასტურებლად.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 28 |
| ქუთაისი | 32 |
| ბათუმი | 29 |
| სოხუმი | 30 |
| ფოთი | 31 |
| თელავი | 30 |
| ზუგდიდი | 32 |
| გორი | 27 |
| ახმეტა | 27 |
| ჭიათურა | 30 |
| გაგრა | 27 |
| სამტრედია | 33 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1475 |
| ევრო | 2.5134 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5129 |
| რუბლი | 0.0697 |

# საქართველოს პრეზიდენტს - ქართული საზოგადოებისგან...

თამარ ხორბალაძე
სოფო ბუკია

აკადემიკოსი გოგი ხარაძე, აკადემიკოსი გივი თუმანიშვილი, აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი, აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე, აკადემიკოსი თემო იოსელიანი, აკადემიკოსი ილო ბარათაშვილი, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, პროფესორი ზურაბ კიკნაძე, პროფესორი კოტე მედიჩი, პროფესორი ვანო ბოკერია, პროფესორი გიგი თევზაძე, მწერალი ერლომ ახვლედიანი, მწერალი ვახუშტი კოტეტიშვილი, მწერალი ზაზა მრელაშვილი, მწერალი დათო ტურაშვილი, მწერალი ლაშა ბუღაძე, პოეტი მიხეილ ქვლივიძე, პოეტი დათო მაღრაძე, პოეტი რატი ამაღლობელი, მხატვარი გია ბუღაძე, მხატვარი გია გუგუშვილი, მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე, მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე, რეჟისორი დათო საყვარელიძე, რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, რეჟისორი ქეთი დოლიძე, რეჟისორი რეზო ესაძე, რეჟისორი ლევან წულაძე, რეჟისორი (!) ელდარ შენგელაია, რეჟისორი ლევან თუთბერიძე, რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი, მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი... – ამ და ბევრ სხვა, ქართული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ, უდავო ავტორიტეტის მქონე ადამიანების გვარებს ამოიკითხავს საქართველოს პრეზიდენტი გუშინ მისადმი გაგზავნილ **"ქართული საზოგადოების მიმართვაში"**.

**"ქართული საზოგადოება შეშფოთებით ადევნებს თვალყურს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებულ მოვლენებს. არსებული სახელმწიფო მმართველობის სამწუხარო შედეგებია: ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა, სულიერი კრიზისი, საზოგადოებრივი ღირებულებების შეცვლა პირადი სარგებლობის პრინციპით, კულტურული მემკვიდრეობის ნგრევა, ეკონომიკური და ფინანსური კრახი, უმუშევრობა, ტოტალური კორუფცია, ჩვენი თანამემამულეების უიმედობა და ნიჰილიზმი.**

**ჩვენ ვერ შევურიგდებით ამგვარ მდგომარეობას, ასე გაგრძელება არ შეიძლება!**

**ქართული ღირსება და თავისუფალი საზოგადოების პრინციპები გვავალდებულებს, ხმამაღლა გამოვთქვათ პროტესტი შექმნილი მძიმე ვითარებისა და მისი შემქმნელების დანაშაულებრივი მოქმედების გამო.**

**ქართული საზოგადოების გონიერი და ზნეობრივი წარმომადგენლებისთვის მიუღებელია ნდობადაკარგული ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული "ახალი საქართველოს" მოდელი – მასში არაფერია არც "ახალი" და არც "ქართული".**

**ჩვენ სრულიად ვუჭერთ მხარს ერთიან ოპოზიციას, მას მივიჩნევთ ჭეშმარიტი ქართული ღირებულებებისა და ინტერესების გამომხატველად და დამცველად.**

**ოპოზიციის ყველა კომპრომისულ წინადადებას თქვენ უპასუხეთ "არა"!**

**ერთადერთი ხსნა ობიექტური არჩევნების ჩატარებაა.**





ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი...





ვახო ხაინდრავას ფოტოები

**ამიტომ თქვენგან, როგორც საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტისგან, კატეგორიულად მოვითხოვთ:**

**უმოკლეს ვადაში მიღებულ იქნას საზოგადოებისთვის ცნობილი წინადადებები, რომელთა შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ღია, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ხალხის ნების იგნორირება თქვენს მიერ საბოლოოდ არის აყვანილი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში და ნებისმიერი კანონიერი საშუალებით, მათ შორის საპროტესტო აქციებით, დავიცავთ თავისუფალი არჩევანის უფლებას!**

**ყველა შესაძლო შედეგზე პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ პირადად თქვენ!"** – ნათქვამია პეტიციაში, რომლის ხელმოსაწერად გუშინ ჯანსუღ კახიძის სახელობის საკონცერტო დარბაზის სცენაზე რიგი დადგა.

მიმართვის მთავარი სიახლე ის გახლავთ, რომ გუშინ ხელმოწერის საზეიმო ცერემონიაზე გამოჩენილ ბევრი პოლიტიკოსისა და პოლიტიკასთან დაახლოებული სახის მიუხედავად, პეტიციის ხელმომწერთა უმეტესობა არაანგაჟირებული ავტორიტეტია, თავისი საქმის პროფესიონალი, ამით უკვე თავისუფალი...

"24 საათის" ინტერესის საგანნი ამჯერად სწორედ ისინი გახდნენ:

რატი ამაღლობელი, პოეტი: **"საქართველოში ხშირად ურევენ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ პოზიციას. ძალიან ცუდია, როცა გეშინია, რომ შენი პოზიცია გამოთქვა როგორც ჩვეულებრივმა მოქალაქემ და არა ვიღაც პრივილეგირებულმა ინტელიგენტმა. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ამ შიშისგან. უნდა ვთქვათ, რომ, რეალურად, ჩვენი დღევანდელი რეჟიმის იდენტიფიცირება საზოგადოებრივი დაკვეთის შემსრულებელთან არ ხდება და ვერც მოხდება. ხელისუფლება არაადეკვატურია და, ამიტომ, იმედი არა მაქვს, რომ ჩვენს მიმართვას სწორად აღიქვამს, მაგრამ შიშის გამო კულისებში ჩაკეტვა არასწორია... ჩვენ არ ვებმებით პოლიტიკაში, ჩვენ ვაფიქსირებთ ჩვენს მოქალაქეობრივ პოზიციას – მე არ მინდა, ვცხოვრობდე ქვეყანაში, რომელსაც არა აქვს თავისუფალი არჩევანი".**

გია გუგუშვილი, მხატვარი: **"მიხარია, რომ დღეს პოლიტიკაში ასეთი, ცივილიზებული ფორმით მოხერხდა საუბარი, ურთიერთობა და არა ძალისმიერი ფორმით. ვფიქრობ, ჩვენი, ამდენი ხალხის მიმართვა გამოხმაურების გარეშე არ დარჩება..."**

გია თორთლაძე, მთამსვლელი: **"მესმის, რომ ქვეყანას სჭირდება პროფესიონალები, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს... თუმცა, ეს ხდება ქვეყანაში, ჩვენ კი ქვეყანაში არ ვცხოვრობთ. ამიტომ, დღეს იძულებულნი ვართ, დროებით მივატოვოთ ჩვენი საქმე და მოვიდეთ აქ, დავაფიქსიროთ ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიცია. არ ვიცი, გაიგონებს თუ არა ამას ჩვენი ხელისუფლება, მაგრამ ამ მიმართვას ძალიან კარგი დაბოლოება აქვს – თუ არ გაიგონებენ, გავაგონებთ!.."**

შოთა ნადირაშვილი, აკადემიკოსი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი: **"ისეთი დროა, რომ ჩვენ გაერთიანება გვჭირდება, მიზანი**

გაგრძელება A2 გვერდზე

## იყიდიან თუ არა ქართულ პომიდორს მსოფლიო ბაზარზე

გვანცა კვინიკაძე

*სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ, თავის პარტნიორ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით გუშინ codex Alimentarius-ის, ანუ სასურსათო კოდექსის პრეზენტაცია მოაწყო. კოდექსის, რომელიც სასურსათო პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტების სისტემას წარმოადგენს, ძირითად ამოცანას მომხმარებლისთვის მაღალხარისხოვანი და, რაც მთავარია, უსაფრთხო პროდუქციის მიწოდების უზრუნველყოფა შეადგენს. საქართველოში, ამ კოდექსის ამოქმედებას ქართული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და, შესაბამისად, ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობად მიიჩნევენ, თუმცა მანამდე, კოდექსის ქართულ ენაზე თარგმნაა დასასრულებელი.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## მკალავიშვილის მხარდამჭერები იმუქრებიან

სოფო ჩხაიძე

ბასილ მკალავიშვილის მომხრეები საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან. მათი გეგმის სისრულეში მოყვანა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რა გადაწყვეტილებას მიიღებს 9 ივნისს საოლქო სასამართლო.

საქმე ის გახლავთ, რომ 4 ივნისს ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა ნოზაძემ გლდანის მრევლის თავკაცს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. როგორც ცნობილია, ეკლესიისგან განდგომილ მღვდელს ბრალად ედება 2002 წლის 3 თებერვალს ვაშლიჯვარში ევანგელისტურ-ბაპტისტური ლიტერატურის დაწვა. სასამართლოს გადაწყვეტილება სისრულეში ჯერაც არ არის მოყვანილი – ბასილ მკალავიშვილი მართლმსაჯულებას ემალება. ამასობაში კი, მისმა ადვოკატებმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## აფხაზეთი- მსოფლიოში ყველაზე ადვილად მოსაგვარებელი კონფლიქტი

სოფო ბუკია

ბრიტანული ცენტრი "Consiliation Resourses" ("შერიგების რესურსები") ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტით დაინტერესდა. ბოლო წლების განმავლობაში ამ ორგანიზაციის ხელშეწყობით განხორციელებული ათამდე პროექტის მიზანი აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის წამოწყება გახლდათ. ანგოლა, ფიჯი, უგანდა, დასავლეთ აფრიკა და საქართველო-აფხაზეთი, - ეს ის ქვეყნებია, სადაც "შერიგების რესურსების" ექსპერტ-კონფლიქტოლოგები მოქიშპე მხარეებს ურთიერთგაგებას უადვილებენ.

ექსპერტები - ინგლისელი ჯონათან კოჰენი და ირლანდიელი კლემ მაკარტნი - ლონდონელ მეგობრებზე ხშირად ქართველ და აფხაზ მეგობრებს ხედავენ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მათთვის პროფესიული ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად იქცა. არაერთწლიანი დაკვირვების შემდეგ, გამოცდილი კონფლიქტოლოგები აცხადებენ, რომ აფხაზეთი - მსოფლიოში ყველაზე ადვილად მოსაგვარებელი კონფლიქტია. "აფხაზეთის კონფლიქტის ბედი მთლიანად ქართულ მხარეზეა დამოკიდებული. მთავარია, ქართველები დაემშვიდობონ ილუზიას, რომ აფხაზეთს ნატო მიხედავს," – ასეთია მათი პოზიცია.

პროექტის "თქვენი აფხაზეთის" კოორდინატორების თორნიკე ბერიშვილისა და პაატა ზაქარეიშვილის ხელშეწყობით - ჯონათან კოჰენი და კლემ მაკარტნი "24 საათის" სტუმრები არიან.

გაგრძელება A2 გვერდზე

### კულუარები

## სუფსას აკაკი ჩხაიძის „იქით გზა არა აქვს"

გურიაში ამომრჩეველთა რეგისტრაცია დასრულდა. ოღონდ საქმე ის არის, რომ მოსახლეობის აღწერა, პოლიციასთან ერთად, მოქკავშირის ადგილობრივმა წევრებმა და სოფლების გამგებლებმა ჩაატარეს. ჩვენი ინფორმაციით, სიების ასლები მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციებს კი არა, მმართველი სახელისუფლებო ბლოკის აქტივისტებსაც აქვთ. რეგიონში წინასაარჩევნო აგიტაცია-დაშინების პროცესი უკვე დაწყებულია.

ამ მხრივ გამორჩეულად აქტიურობენ სოფელ სუფსის საკრებულოს წევრები, განსაკუთრებით სოფლის გამგებელი ქალბატონი დოდო ესართია, რომელსაც რკინიგზის დეპარტამენტის შეფთან, სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო ყულაბის ერთ-ერთ მომმარაგებელთან მჭიდრო კავშირი აქვს. თანაც, თავად აკაკი ჩხაიძე ლანჩხუთელია და საკუთარ ფესვებთან კავშირს არ წყვეტს.

საგულისხმოა, რომ ჩხაიძის მხარდამჭერები ერთი ცნობილი ინციდენტის შემდგომ გააქტიურდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე კვირის წინ, აკაკი ჩხაიძის კაბინეტში შესული ქალბატონი ნათელა ჩხიკვაძე, რომელსაც, როგორც ამბობენ, ხელჩანთაში ფარული კამერა ჰქონდა დამონტაჟებული, სუფსიდანაა. ამ სკანდალს დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ სუფსაშიც, ნათელა ჩხიკვაძე საყოველთაოდ გაკიცხეს და ლამის მოღალატე უწოდეს. არადა, როგორც ამბობენ, ამ ქალბატონს აკაკი ჩხაიძესთან მართლაც ჰქონდა გასარჩევი რამდენიმე ფინანსური პრობლემა.

ასეა თუ ისე, გურიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელი მთლიანად ჩხაიძის მხარდამჭერთა რიგებში ჩაირიცხა. "**ჩვენ გაჭირვებულ ყოფას მხოლოდ მაგი თუ უშველის",** - გვითხრა სუფსის ერთ-ერთმა მკვიდრმა. საგულისხმოა ისიც, რომ, ლანჩხუთელთა განცხადებით, არჩევნების დროს ისინი ხმას მისცემენ იმ მაჟორიტარ კანდიდატს, რომელსაც ჩხაიძე გაუწევს რეკომენდაციას. ეს კი ბევრ პრობლემას შეუქმნის ამ მოწვევის ლანჩხუთელ მაჟორიტარს, "მრეწველ" ოთარ მენაბდეს, რომელსაც, აკაკი ჩხაიძის პოლიტიკაში მოსვლამდე, რაიონში არცთუ ურიგო პოზიციები ეჭირა.

*24 საათი*

A2 ინფორმაცია A2 სამართალი A3 ეკონომიკა A3 უცხოეთი A4 საზოგადოება A5 რევიუ A6 განცხადებები A7 სპორტი A8 სხვადასხვა

# საქართველოს პრეზიდენტს - ქართული საზოგადოებისგან...

პირველი გვერდიდან

**გვჭირდება. ქართველ ხალხს ჰქონდა დიადი მიზანი, გაერთიანდა და მოიპოვა დამოუკიდებლობა. მერე, როცა საერთო ეროვნული მიზანი დაიკარგა, ხალხიც დაქუცმაცდა. დღეს ისევ იწყება ამ მიზნის ჩამოყალიბება - ჩვენ უნდა ავაშენოთ თავისუფალი, დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფო".**

ზურაბ კიკნაძე, პროფესორი: **"დღეს რომ ერთი პარტიის შეკრება ყოფილიყო, ბევრი ჩვენგანი შეყოყმანდებოდა წამოსვლის წინ. ოპოზიციის გაერთიანება ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს გაერთიანება არ იქნება ეფემერული. უბრალო მშრომელ ადამიანს ერთადერთი ხმა აქვს, მიეცით საშუალება, მშვიდობიანად მიიტანოს იგი საარჩევნო ურნამდე".**

ვახუშტი კოტეტიშვილი, მწერალი: **"ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ დუმილი სირცხვილია. არადა, რას ვითხოვთ, რომ დავფიქრდები, მწარედ მეცინება. ვითხოვთ, მოგვეცეს საშუალება, ავირჩიოთ. მადლობას ვუხდი ოპოზიციას იმისთვის, რომ გაერთიანდა. მიხარია, რომ ერთად ვხედავ მათ, ვინც ჩვენ, ხალხს, მართლა გვიყვარს. როცა ოპოზიცია ერთიანი იქნება, არ დაიკარგება ხმა, რომელიც ყველა ჩვენგანს ერთადერთი აქვს".**

დათო მაღრაძე, პოეტი: **"პრეზიდენტმა შევარდნაძემ დაწერა წიგნი "ჩემი არჩევანი". მე არ ვარ იმდენად აღფრთოვანებული მისი არჩევანით, რომ ჩემი დავივიწყო და მისით ვიარო".**

მიხეილ ანთაძე, მწერალი: **"ძალიან მიხარია, რომ ასეთი გაერთიანება მოხდა. ვფიქრობ, ასეთ ერთიანობას ძალიან სერიოზული შედეგი უნდა მოყვეს. ...იმედგაცრუებულნი ვართ ყველანი, რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, არაინტელიგენტურ, კორუმპირებულ და კლეპტოკრატულ სახელმწიფოში აღმოვჩნდით. აქედან გამოსაყვანად ინტელიგენციის ძალისხმევა აუცილებელია. ხოლო ჩვენს ხმას თუ ვერ გაიგონებენ, ჩვენ უნდა გავაგონოთ, ჩვენ არ უნდა ვიყოთ, როგორც უკვე თქვეს, თეიმურაზ ხევისთავები. ჩვენ ამის ძალაც გვაქვს. ინტელიგენტი არ არი უღონო... ჩვენი ძალა განათლებაშია".**



იმპროვიზირებულ პრეზიდიუმში.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული გვარდიის საჩხერის მე-16 სამთო-მსროლელ ბატალიონს პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელი მიენიჭა. საზეიმო ცერემონიალი საჩხერეში, ბატალიონის დისლოკაციის ადგილზე გაიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი სამხედროები მონაწილეობას მიიღებენ ნატო-ს "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო მრავალეროვნულ სამხედრო-საზღვაო სწავლებებში, რომელიც ივნისის ბოლოს უკრაინის ქალაქ ოდესაში გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროს კოჯრის სამხედრო ბაზაზე "კომანდოს" სპეცდანიშნულების სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ცერემონიალი და საჩვენებელი წვრთნები გაიმართა. ცერემონიალს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე და გენერალიტეტის სხვა წარმომადგენლები, ასევე თურქეთის ელჩი საქართველოში ადნან გიულერი ესწრებოდნენ. **ინტერ-პრესი**

# აფხაზეთი - მსოფლიოში ყველაზე ადვილად მოსაგვარებელი კონფლიქტი

პირველი გვერდიდან

პაატა ზაქარეიშვილი: **როგორ მოხვდით საქართველოში, საიდან გაჩნდა თქვენს ცხოვრებაში აფხაზეთი?**

**ჯონათან კოჰენი:** ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დავიწყე მუშაობა ორგანიზაციაში, რომელიც კონფლიქტების შესწავლით იყო დაკავებული. ომი აფხაზეთში ახალი დაწყებული იყო. გადავწყვიტე, რომ კავკასია საინტერესო რეგიონია და ჩამოვედი. იმ დროიდან აფხაზეთზე ვმუშაობ. ჩემი ორგანიზაცია ეხმარება ადამიანებს. ვეძებთ გზებს, რათა არსებული კონფლიქტებიდან მხარეები სამართლიანი, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გზით გამოვიდნენ. ჩვენს საქმიანობაში არ მონაწილეობს პოლიტიკა.

საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტი მთავარია ჩემს პროფესიულ მოღვაწეობაში.

ხშირად დავდივარ აფხაზეთში. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს აფხაზ და ქართველ მეგობრებს უფრო ხშირად ვხედავ, ვიდრე ჩემს ლონდონელ ახლობლებს.

**კლემ მაკარტნი:** კონფლიქტოლოგიის სფეროში უხსოვარი დროიდან ვმოღვაწეობ. ჩემი სამუშაოა ხალხთა შორის დიალოგის ჩამოყალიბება. საქართველოში კოლეგების დასახმარებლად ჩამოვედი, იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საკითხზე მუშაობენ. სამი წელიწადია, ჩართული ვარ პროცესში, რომელსაც დიალოგის შემუშავება, ხელშეწყობა ჰქვია. საქართველო და აფხაზეთი ჩემი ცხოვრების თითქმის ძირითად ნაწილად იქცა. ბედნიერი ვარ ამის გამო.

თორნიკე ბერიშვილი: **ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში რუსეთის პოზიცია ძალიან ნათელია. აფხაზები რუსეთს საკუთარ მოკავშირედ მიიჩნევენ. ამერიკას, დასავლეთს, საერთაშორისო ორგანიზაციებს ენგურს გაღმა საქართველოს მეგობრებად თვლიან, ეჭვით უყურებენ, ნატოს კი საერთოდ პირად მტრად აღიქვამენ. ანუ ის სურათია, რაც თქვენ აღნიშნეთ, ყოველი მხარე ცდილობს, მოიძიოს მოკავშირეები. საინტერესოა, როგორ აღიქვამს აფხაზური მხარე კონკრეტულად თქვენი ორგანიზაციის მუშაობასა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო პოლიტიკას?**

**კლემ მაკარტნი:** ძალიან ირონიულია ის სიტუაცია, რომელიც თქვენ ახლა აღწერეთ. ქართველები ეჭვით უყურებენ როგორც აფხაზებს, ისე რუსეთს. ჩემი აზრით, საკმაოდ ნათელი კავშირია რუსეთსა და აფხაზებს შორის, მაგრამ საინტერესოა ის, რომ საქართველო საკუთარი პოლიტიკური ქცევით კიდევ უფრო ამძაფრებს აფხაზეთის ლტოლვას რუსეთისკენ. აფხაზური მხარის მოსაზრებას დიდი ბრიტანეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით ნამდვილად ვერ გეტყვით, თუმცა, მათ, ბუნებრივია, აღიზიანებთ ის, რომ საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. დარწმუნებული ვარ, ბრიტანული პოლიტიკის მიმართ აფხაზები უკეთესი შეხედულების იქნებიან, თუ ბრიტანეთის მთავრობა მათ დამოუკიდებლობას აღიარებს. ასე რომ, ამ ვითარებაში, ალბათ, უფრო სასარგებლო იქნება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, რადგან მათ არ მოეთხოვებათ, ცნონ ამა თუ იმ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

თორნიკე ბერიშვილი: **ქართველებისთვის ძალიან მტკივნეულია ამ კონფლიქტში აფხაზეთის, როგორც თანაბარუფლებიანი მხარის აღიარება. თქვენ ამბობთ, რომ დიალოგი არ არის, მაგრამ იმისთვის, რომ იყოს დიალოგი, აუცილებელია, ორი მხარე არსებობდეს, ანუ, პრობლემა ის არის, რომ აფხაზები, ჯერჯერობით, დიალოგის სუბიექტად ვერ იქცნენ, რაც ხელს უშლის პრობლემის მოგვარებას.**

**კლემ მაკარტნი:** ამ მოსაზრებას მთლიანად ვერ გავიზიარებ. გარკვეულწილად შემიძლია წარმოვიდგინო თავი საქართველოს ხელისუფლების ადგილას. ქართული მხარე მზად იყო მოლაპარაკებისთვის დე-ფაქტო აფხაზეთთან. რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ეს ძნელი იქნება, მაგრამ თუ თქვენ გაქვთ კონფლიქტი, მაშინ აუცილებლად უნდა დაელაპარაკოთ მეორე მხარეს - სხვაგვარად კონფლიქტი არ მოგვარდება. თქვენ მეტყვით, რომ ჩემთვის ამ თემაზე საუბარი ადვილია, მე ხომ ქართველი არა ვარ, მაგრამ კონფლიქტოლოგი ვარ და მსოფლიო პრაქტიკის მაგალითებით ვლაპარაკობ.

ვიცი უამრავი მაგალითი მსოფლიო პრაქტიკიდან, საიდანაც ნათლად ჩანს: კონფლიქტი ვერ გვარდება მხოლოდ იმის გამო, რომ მხარეები ჯიქურ უდგებიან საკითხს.

ჩვენთან, დიდ ბრიტანეთში, ცენტრალური ხელისუფლება ოცი წლის განმავლობაში უარს აცხადებდა ირლანდიის რესპუბლიკურ არმიასთან დიალოგზე. მხოლოდ ოცი წლის შემდეგ დიალოგის გზით მივიღეთ კონკრეტული შედეგები. თითქმის 15 წლის განმავლობაში შრი-ლანკის მთავრობა არ ცნობდა და არ მიდიოდა მოლაპარაკებაზე თამილის ვეფხვებთან და ა.შ.

"24 საათი": **თქვენ აფხაზეთის ხშირი სტუმარი ხართ, გიწევთ კონტაქტი უბრალო მოქალაქეებთან... რამდენად ემთხვევა აფხაზეთის სამთავრობო პოზიცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სფეროში ჩვეულებრივი მოქალაქეების შეხედულებებს?**

**ჯონათან კოჰენი:** ქართულ საზოგადოებაში ძალიან ბევრი ილუზიაა აფხაზეთთან დაკავშირებით. საქართველოში ჰგონიათ, რომ აფხაზეთში რუსეთის თანხმობის გარეშე არაფერი წყდება, რომ აფხაზებს არა აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი მიდგომა გარკვეული სიტუაციის მიმართ და მოქმედებენ ისე, როგორც მათ ჩრდილოეთიდან უკარნახებენ. ვფიქრობ, ეს არც ისე სწორი მოსაზრებაა. არა მგონია, რომ აფხაზები ზედმიწევნით უსმენენ რუსეთს და აკეთებენ მხოლოდ იმას, რაც რუსეთს სურს. აფხაზეთში ძალიან კარგად ესმით, რა შეიძლება მოყვეს რუსეთთან ზედმეტად დამეგობრებას.

საქართველოში ასევე ფიქრობენ, რომ აფხაზეთში ყველა ერთ პოზიციაზე დგას. არც ეს არის მართალი და შიდაპოლიტიკურმა პროცესებმა, რომლებიც ბოლო დროს აფხაზეთში ვითარდება, ეს კარგად წარმოაჩინა. რა თქმა უნდა, ისეთებს, ვისაც საქართველოსთან გაერთიანება უნდათ, იქ ვერ ნახავთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აფხაზეთში არ არის ხალხი, რომლებსაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ თავისებური მიდგომა აქვთ. რა თქმა უნდა, იქ ცხოვრობს ხალხი, რომელიც ქართულ მხარესთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგია. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ უნდა განვითარდეს დემოკრატიულ ღირებულებებზე. ისინი თვლიან, რომ არ არის საჭირო ლოდინი, როდის მიიღებს აფხაზეთი დამოუკიდებლობას, რადგან დაკარგავენ შესაძლებლობას, ჩამოაყალიბონ დემოკრატიული საზოგადოება. ამ მოსაზრების მქონე ადამიანები თანახმანი არიან დიალოგზე.

**კლემ მაკარტნი:** ჩვენი ორგანიზაცია მაქსიმალურად ცდილობს, სამოქალაქო დიალოგს შეუწყოს ხელი.

ხშირად ვმართავთ კონფერენციებს, სადაც განხილვის მთავარი თემა აფხაზეთია. ეწყობა შეხვედრები უჰალსტუხოდ, რომლებშიც მონაწილეობენ მინისტრები, ოფიციალური პირები. ამ შეხვედრებს, რა თქმა უნდა, კონკრეტული შედეგი არ მოჰყვება და არც შეიძლება მოჰყვებოდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია მოსაზრებათა, შეხედულებათა ურთიერთგაცვლა. ქართველები და აფხაზები აუცილებლად უნდა დაელაპარაკონ ერთმანეთს.

თორნიკე ბერიშვილი: **თითქმის ათი წელიწადია, რაც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს იცნობთ. იცით, რა იყო ათი წლის წინ და რა არის დღეს. თქვენი დაკვირვებით, ამ ხნის განმავლობაში საქართველომ გადადგა რაიმე ხილული ნაბიჯი აფხაზეთისკენ?**

**ჯონათან კოჰენი:** ახალი ისაა, რომ ბევრი ადამიანი, რომელსაც საკმაოდ სერიოზული მიდგომა აქვს ამ საკითხის მიმართ, მზად არის, ახლებურად შეხედოს ამ პრობლემას. სამწუხაროდ, ძალიან ბევრ ადამიანს ომი უშუალოდ შეეხო, პირადი ტრაგედიის დავიწყება კი ხალხს ძალიან უჭირს, რაც, რა თქმა უნდა, ართულებს აფხაზთა და ქართველთა დაახლოების პროცესს.

**კლემ მაკარტნი:** გეტყვით ჩემს ერთ დაკვირვებას, რომელმაც ძალიან გამაოცა: ეს არის ნათელი გონება, რომელიც ქართველ დევნილებში აღმოვაჩინე. იმ ხალხს, ვინც ყველაზე მეტად დააზარალა აფხაზეთის ომმა, უფრო ეტყობა აფხაზებთან დიალოგის სურვილი, ვიდრე მათ, ვინც თბილადაა მოკალათებული საკუთარ სკამზე.

"24 საათი": **როგორც ექსპერტებსა და კონფლიქტოლოგებს, ალბათ, გაქვთ საკუთარი მოსაზრება ქართულ-აფხაზური საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.**




ირლანდიელი კონფლიქტოლოგები "24 საათის" რედაქციაში

**ჯონათან კოჰენი:** ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ქართველებმა ნათლად გაიაზროთ: არავის ძალუძს თქვენს მაგივრად პრობლემის გადაწყვეტა. საქართველოში გამეფებულია აზრი, რომ აფხაზეთს ნატო მოუვლის. ძალიან მცდარი მოსაზრებაა. ჯერ ერთი, ნატოში ვერასოდეს მოხვდება ქვეყანა, რომელსაც საკუთარ ტერიტორიაზე ასეთი კონფლიქტი აქვს. მეორე – აფხაზეთში ნატოს მიმართ რა დამოკიდებულებაც აქვთ, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ. ნატოს პრინციპებს ეწინააღმდეგებიან ქართული მხარის წარმომადგენლებიც, ისინი, ვინც დაჟინებით ითხოვს აფხაზეთში გაეროს მეშვიდე მუხლის ამოქმედებას. ნატო ნიშნავს სამოქალაქო ხელისუფლების მიერ სამხედრო ძალების ასპროცენტიან კონტროლს. აქედან გამომდინარე, ნატოს პრინციპების მიხედვით, ნებისმიერი შეიარაღებული შეჭრა აფხაზეთის ტერიტორიაზე გაუმართლებელია.

ყველაფერ ამას დაუმატეთ ისიც, რომ საქართველო ნატოში უახლოესი 20-30 წლის (შესაძლოა, უფრო მეტის) მანძილზე ნამდვილად ვერ გაწევრიანდება. ასე რომ, სანამ ბატონობს აზრი, თითქოს აფხაზეთის პრობლემას ნატო ან ვინმე სხვა მოაგვარებს, ეს საკითხი, როგორც ჩანს, მოუგვარებელი დარჩება.

"24 საათი": **აფხაზები ვისგან ელიან დახმარებას?**

**ჯონათან კოჰენი:** ამ მხრივ აფხაზეთში საქმე უფრო სხვაგვარადაა. აფხაზები უფრო რეალურად აფასებენ სიტუაციას. მათ იციან, რომ უახლოეს მომავალში არავინ არ ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ისინი მზად არიან, ელოდონ, რადგან სხვა არჩევანი არა აქვთ. პრინციპში, საქართველო აფხაზეთს რუსეთისკენ უბიძგებს და სხვა არჩევანს არც უტოვებს. აფხაზეთში დღეს ამბობენ, რომ მათ არჩევანი უნდა გააკეთონ ორ ბოროტებას - რუსეთსა და საქართველოს შორის. მათი აზრით, რუსეთთან მეგობრობით უფრო ნაკლებ ბოროტებას ირჩევენ.

საქართველოს თავისუფლად შეუძლია, შეცვალოს აფხაზეთის არჩევანი. დამიჯერეთ, სწორი მიდგომის შემთხვევაში, აფხაზეთის კონფლიქტზე ადვილად მოსაგვარებელი არაფერია.

# მკალავიშვილის მხარდამჭერები იმუქრებიან

პირველი გვერდიდან

სასამართლომდე ორი დღით ადრე, რიგმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მკალავიშვილის მხარდამჭერი პრესკონფერენცია მოაწყვეს, სასამართლოს გადაწყვეტილება "შევარდნაძის რეპრესიებს" მიაწერეს. იმ შემთხვევაში, თუ საოლქო სასურველ გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, მასობრივი არეულობითა და შიმშილობის დაწყებით იმუქრებიან, ექსცესების შემთხვევაში კი, პასუხისმგებლობას "დასავლეთის რეპრესიულ ძალებს" და "ჟვანია-სააკაშვილის მიერ შექმნილ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს" დააკისრებენ. მკალავიშვილის მხარდამჭერებმა მერიაში უკვე შეიტანეს განცხადება და აპირებენ, ორშაბათს, მკალავიშვილის დაპატიმრების სანქციის გაუქმების მოთხოვნით, რუსთაველის ძეგლიდან სახელმწიფო კანცელარიამდე მშვიდობიანი სვლა მოაწყონ.

# გატაცებულებს არატრადიციული ხერხებით ეძებენ

პირველი გვერდიდან

ერთგვარად ირაკლი ბათიაშვილის განცხადების საპასუხოდ ჟღერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის გადაწყვეტილება კოდორის ხეობაში გაფრენის შესახებ. **"თუ გამტაცებლები და გატაცებულები კოდორის ხეობაში არიან, ხეობიდან ვერ გავლენ, თუმცა ისიც დასაშვებია, რომ ხეობაში ისინი საერთოდ არ იმყოფებოდნენ"**, - ვარაუდობს თევზაძე და აკონკრეტებს, რომ ხეობაში ძებნა სექტორულად მიმდინარეობს და გარკვეული სექტორების შემოწმება უკვე დასრულებულია.

რაც შეეხება გატაცებულ დამკვირვებელთა ძებნითი სამუშაოების წარმმართველს, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანს, მისი თქმით, გამტაცებლები პროფესიონალურად მოქმედებენ და კვალს ისე აბნევენ, რომ მათი ადგილსამყოფლის დადგენა რთულდება.

**"ისინი, თითქოს, ვიღაცასთან კოორდინირებულად მოქმედებენ. როგორც ჩანს, მათ თანამზრახველები ჰყავთ ხეობის შიგნით და, შესაძლოა, ხეობის გარეთაც, ვინც მათ სრულ ინფორმაციას აწვდის"**, - აღნიშნავს კვიციანი.

აღსანიშნავია, რომ ემზარ კვიციანი, ტიპური სამძებრო ღონისძიებების გარდა, გატაცებულთა შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად არატრადიციულ ხერხებსაც მიმართავს. გუშინწინ მან უკვე შეკრიბა კოდორის მოსახლეობა და მათ დაავალა, გატაცებულთა ადგილმდებარეობა საკუთარი ძალებით დაადგინონ. მოსახლეობის შეკრებას იგი გუშინაც აპირებდა.

**"გვინდა, ხეობის მცხოვრებლებს ფიცი დავადებინოთ, თუ მათ რაიმე იციან გატაცებულების შესახებ. იქნებ ამ გზით შევიტყოთ და თანამზრახველებიც გამოვავლინოთ"**, - განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა.

# ინციდენტი პანკისის ხეობაში

პანკისის ხეობაში რამდენიმე დღის წინ დაწყებული ძალოვანთა პატრულირება კვლავ გრძელდება. საქმე ის არის, რომ კანონდამცველთა გაძლიერებული ჯგუფები ხეობის მაღალმთიან სოფლებში ორი წლის წინ გატაცებულ მამა ბასილ მაჩიტაძესა და მის გამტაცებლებს ეძებენ.

გუშინ, შუაღამისას, პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში შემოვლაზე მყოფ შსს-ს საპატრულო ჯგუფს "აკს"-ის სისტემის ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნეს. კახეთის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსის ზურაბ ტუშურის განცხადებით, სროლის შედეგად არავინ დაშავებულა. **"ინციდენტი მიზნად არ ისახავდა პატრულზე თავდასხმას. ეს ვერც მოხდებოდა, რადგან, "ოაზის" ტიპის ავტომანქანების გარდა, პატრულს მძიმე ტექნიკაც ჰყავდა შემოვლაზე გაყვანილი. მართალია, გასროლა პატრულის მიმართულებით მოხდა, მაგრამ გაისროლეს ჰაერში. ინციდენტი მხოლოდ დაშინებას ისახავდა მიზნად,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას კახეთის პოლიციის უფროსმა.

ზურაბ ტუშურის ინფორმაციით, პოლიციას უკვე აქვს ეჭვმიტანილთა სია, თუმცა, მისი გახმაურებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. არსებული ინფორმაციით, თავდამსხმელები, სავარაუდოდ, ადგილობრივი მცხოვრებლები – ქისტი კრიმინალები არიან.

სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ ინციდენტი, შესაძლოა, ორი დღის წინათ ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლული ჯემალ ცათიაშვილის ლიკვიდაციის გამო მოხდა. თუმცა, ზურაბ ტუშური ამ ვარაუდს ჯერჯერობით არც ეთანხმება და არც კატეგორიულად უარყოფს. კახეთის პოლიციის უფროსი აცხადებს, რომ გუშინწინ, გვიან ღამით მომხდარი ინციდენტი მარტში პატრულზე მომხდარი თავდასხმის გაგრძელებაა, **"ეს იმიტომ ხდება, რომ ხეობაში ჯერ კიდევ არიან ცალკეული კრიმინალები, რომელთაც წესრიგის დამყარება არ სურთ,"** – ამბობს ზურაბ ტუშური. ინციდენტთან დაკავშირებით საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა.

რამდენიმე დღის წინ პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაჭრილი ხიზრი ხანგოშვილი, მამა ბასილის გატაცების ერთადერთი მოწმე, გუშინ, გვიან ღამით, "არამიანცის" საავადმყოფოში გარდაიცვალა. მართალია, სამართალდამცველები მას გაესაუბრნენ, მაგრამ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება ვერ შეძლეს.

## სამართალი

# საპყრობილის ორ თანამშრომელს ოთხ წლამდე პატიმრობა ემუქრება

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლომ გუშინ სასჯელაღსრულების დაწესებულების №5 საპყრობილის კიდევ ორ თანამშრომელს - ინაიშვილსა და ნიკოლაიშვილს სამ-სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ინაიშვილი და ნიკოლაიშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაზე ზედამხედველობის პროკურატურამ რამდენიმე დღის წინ საპყრობილიდან მძიმე დანაშაულში ბრალდებული 15 პატიმრის გაქცევის გამო დაატუსაღა. საპყრობილის თანამშრომლებს პროკურატურა სამსახურებრივ გულგრილობაში სდებს ბრალს, რისთვისაც, სავარაუდოდ, მათ ოთხ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

მართალია, საპყრობილის თანამშრომლები პატიმართა გაქცევაში თავს დამნაშავედ არ ცნობენ, თუმცა ადვოკატებმა სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობებს, რატომღაც, მათი მძიმე ოჯახური პირობები დაუდეს სარჩულად.



ადვოკატებმა შუამდგომლობებს, განსასჯელთა მძიმე ოჯახური პირობები დაუდეს სარჩულად.

ოჯახური პირობების გამო ინაიშვილის ადვოკატმა მოსამართლე დოიჯაშვილს პატიმრობის - შინაპატიმრობით შეცვლა მოსთხოვა. ნიკოლაიშვილის ადვოკატმა კი მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის აღიარება და პატიმრობიდან მისი საერთოდ გათავისუფლება მოითხოვა.

მოსამართლე ორივე პატიმრის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მასალებს, რამდენიმე საათის განმავლობაში, დახურულ კარს მიღმა ისმენდა. მიუხედავად პატიმართა და მათ ადვოკატთა მტკიცებისა, - გაქცევაში უდანაშაულონი ვართო, სასამართლოს თავმჯდომარემ მაინც ბრალდების მხარის მიერ შეკრებილი მტკიცებულებები მიიჩნია სარწმუნოდ და სასჯელაღსრულების დაწესებულების ორივე თანამშრომელს – ინაიშვილსაც და ნიკოლაიშვილსაც გაქცეულ პატიმართა ადგილები დააკავებინა.

# ადვოკატები საკუთარ თავზე მსჯელობენ

თეა ხოფერია

*საქართველოში ადვოკატთა პრობლემებთან დაკავშირებით, გუშინ, სამოსამართლო სწავლების ცენტრში, კონრად ადენაუერის ფონდმა შეხვედრა-სემინარი მოაწყო.*

შეხვედრაზე, რომელსაც ცნობილი ადვოკატები და იურისტები ესწრებოდნენ, ყურადღება, ძირითადად, ადვოკატებისთვის მტკივნეულ საკითხებზე გამახვილდა. ადვოკატთა შესახებ კანონის არარსებობა, ადვოკატთა ეთიკის კოდექსის უქონლობა, საკუთრივ ადვოკატთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით პასიურობა, ადვოკატების პროფესიული ნიშნით ზრდის აუცილებლობა – ამ და სხვა თემებთან დაკავშირებით გუშინდელი შეხვედრის მონაწილეები არაერთ განცხადებას აკეთებდნენ.

როგორც შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ, ადვოკატმა დავით ლანჩავამ განაცხადა, დღეს მოსამართლეები თავიანთი პროფესიული განათლებით ბევრად უფრო წინ არიან, ვიდრე ადვოკატები. მან, ნახევრად ხუმრობით, უცხოურ ფონდებსა და კონკრეტულად, კონრად ადენაუერის ფონდსაც სთხოვა, რომ ადვოკატების ტრენინგისთვისაც გამოეყოთ თანხები, როგორც ეს თავის დროზე სასამართლო რეფორმისთვის გაკეთდა. ადვოკატმა დავით ლანჩავამ სახაზინო ადვოკატების საქმიანობაზეც გაამახვილა ყურადღება. მისი განცხადებით, ხშირად სახაზინო ადვოკატები, ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი გაჭირვებული კლიენტის უფლებები დაიცვან, მეორე მხარეს მიეყიდებიან ხოლმე.

**"გარდა იმისა, რომ პრობლემები დამოუკიდებელ ადვოკატებსაც აქვთ, ძალიან რთული ვითარებაა სახელმწიფო-სახაზინო ადვოკატებთან დაკავშირებით. ხშირად გაჭირვებული მოქალაქისთვის გამოყოფილი სახაზინო ადვოკატი კაპიკებად იყიდება"**, - აცხადებს ადვოკატი.

როგორც უკვე აღინიშნა, გუშინ ადვოკატებმა კანონისა და ეთიკის კოდექსის უქონლობაზეც ისაუბრეს. ეკა ბესელია შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ თვალსაზრისით საქართველოში არსებული კანონმდებლობის კრიზისი სახიფათო ვითარებას ქმნის როგორც მოქალაქეებისთვის ისე თვით ადვოკატებისთვისაც. მისი თქმით, ასეთ სიტუაციაში ორივე მხარე დაუცველია. გარდა ამისა, ეკა ბესელიამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა: ადვოკატთა ძირითადი ნაწილი საქართველოში იმდენად ინერტული გახდა, რომ მათზე განხორციელებულ ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე რეაგირებასაც აღარ ახდენენ.

ცნობილი ქართველი იურისტი ოთარ გამყრელიძე საქართველოში ადვოკატურასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებს, შეიძლება ითქვას, მარტივად ხსნის. ოთარ გამყრელიძემ დარბაზში მსხდომთ ადვოკატურის ისტორია შეახსენა. მისი თქმით, საქართველოში დამოუკიდებელი ადვოკატურა მხოლოდ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად დამკვიდრდა.

**"ერთი საუკუნის განმავლობაში ადვოკატურა სრულიად უგულებელყოფილი იყო... ასე უცებ ნუ ველოდებით პროფესიულ ზრდას ამ დარგში... ყველაფერს დრო სჭირდება..."** - განმარტავს ოთარ გამყრელიძე.

# „საუნჯე" დააყაჩაღეს

თამარ კაციტაძე

გუშინ შეიარაღებულმა თავდამსხმელმა რუსთაველის გამზირზე მდებარე მაღაზია "საუნჯის" ოქროულობის სექციიდან რამდენიმე ათასი ლარის ღირებულების ძვირფასეულობა გაიტაცა. სხვათა შორის, "საუნჯის" ოქროულობის სექცია ორი წლის წინაც გაიქურდა. მაშინდელი თავდასხმის შემდეგ, ადმინისტრაციამ მაღაზიაში დაცვა დააყენა და სათვალთვალო კამერაც დაამონტაჟა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავდაცვის საშუალებებმა არ გაამართლა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მაღაზიაში ხუთი ადამიანი შევარდა. მათ კეპები ეხურათ და შავი სათვალეები ეკეთათ. ორი მათგანი პისტოლეტით იყო შეიარაღებული, ერთს კი გადაჭრილი თოფი ჰქონდა. თავდამსხმელებმა დაცვის ორი წევრი განაიარაღეს და ძარცვა დაიწყეს. რაც შეეხება კამერას, მან თავისი ფუნქცია შეასრულა - დაყაჩაღების მთელი პროცესი ვიდეოფირზეა აღბეჭდილი. სამართალდამცველებს სწორედ ამ ფირის იმედი აქვთ. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციაში იმედოვნებენ, რომ კასეტის გაშიფვრის შემდეგ, თავდამსხმელთა კვალს მიაგნებენ და დანაშაულიც გაიხსნება.

ჯერჯერობით, რაიონის სამართალდამცველებმა მიაგნეს სამარშრუტო ტაქსის მძღოლს, რომელმაც მაღაზიიდან გამოსული ნადავლით დატვირთული თავდამსხმელები შემთხვევის ადგილს მოაშორა.

სამარშრუტო ტაქსი, რომელშიც რამდენიმე მგზავრი იჯდა, მძღოლმა მაღაზიის წინ მგზავრის მოთხოვნით გააჩერა. სწორედ ამ დროს თავდამსხმელები მიკროავტობუსში ავიდნენ და იარაღის მუქარით მძღოლი აიძულეს, წასულიყო. მძღოლის თქმით, თავდამსხმელები თავისუფლების მოედანზე, მერიის წინ ჩავიდნენ და გაიქცნენ. მძღოლი მეტს ვერაფერს ამბობს, დანაშაულთან მის კავშირზე ვერც სამართალდამცველები საუბრობენ. ვიდრე პოლიცია მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე დამნაშავეებს ეძებს, მაღაზია "საუნჯის" ადმინისტრაცია ზარალს ითვლის.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტმა ევროსაბჭოს რეკომენდაცია შეასრულა და გუშინ "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ" კანონი მიიღო. თუმცა, ევროსაბჭოს "შავ სიაში" მოხვედრის ალბათობა კვლავაც არსებობს. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მერაბ კაკულიას განცხადებით, "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ" კანონი მიღებულია, მაგრამ მისგან გამომდინარე კანონები პარლამენტს ჯერ არ მიუღია. "ერთ-ერთი მათგანი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანას ითვალისწინებს. სწორედ მასში უნდა შევიდეს უკანონოდ მიღებული შემოსავლის კონფისკაციის პირობა. ამას ევროსაბჭო კატეგორიულად მოითხოვს", - განმარტა კაკულიამ. ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის სხდომა 28 ივლისისათვის არის დანიშნული. ამ დროისათვის საქართველოს პარლამენტმა შესატყვისი კანონები უნდა მიიღოს. ამ საკითხებს საქართველოს პარლამენტი, სავარაუდოდ, მომავალ სასესიო კვირას მიუბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საწესდებო კაპიტალის მოცულობის მიხედვით, საქართველოში ყველაზე მსხვილი ბანკი არის "ბანკი ქართუ". საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით, 2003 წლის 1 მაისის მდგომარეობით, "ქართუს" საწესდებო კაპიტალი 45 779 570 ლარს შეადგენს. მას ოდნავ ჩამორჩება "საქართველოს ბანკი", რომლის საწესდებო კაპიტალი 45 658 320 ლარს აღწევს. პირველ ხუთეულში ასევე შევიდნენ "TBC ბანკი" (33 401 214 ლარი), "გაერთიანებული ქართული ბანკი" (24 862 667 ლარი) და "მიკროსაფინანსო ბანკი" (22 094 322 ლარი). **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს პარლამენტმა მეორე და მესამე მოსმენით მიიღო საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებების გადასახადისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს. გამორიცხული არ არის, ფინანსთა მინისტრმა პრეზიდენტს აღნიშნულ კანონპროექტზე ვეტოს დადება ურჩიოს. სამედიცინო ობიექტები მოგების გადასახადისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდებიან, თუ ამ მოგების თანხას რეინვესტიციაში ჩადებენ. სამედიცინო დაწესებულებებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში წელიწადში ექვსი მილიონი ლარი შედის. **ინტერ-პრესი**

# იყიდიან თუ არა ქართულ პომიდორს მსოფლიო ბაზარზე

### სასურსათო კოდექსი ქართული ექსპორტის ზრდის საწინდარი



*საქართველომ ტრადიციულმა აგრარულმა ქვეყანამ ბაზრები დაკარგა.*

პირველი გვერდიდან

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძის განცხადებით, სასურსათო კოდექსთან მიერთება საქართველოსთვის, როგორც განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე საკუთარი ექსპორტის გაზრდით დაინტერესებული ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მინისტრის აზრით, კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა საქართველომ, პირველ რიგში, სწორედ საექსპორტო პროდუქციით უნდა დაიწყოს.

ამ აზრს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის ოფისის ხელმძღვანელი ჯერალდ ანდერსენიც იზიარებს, მაგრამ მისი თქმით, საქართველომ – ტრადიციულმა აგრარულმა ქვეყანამ დაკარგა ბაზრები. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, ანდერსენი ქართული პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის გარდა, მაღალ ფასსაც მიიჩნევს. მისი გათვლებით, თბილისიდან მოსკოვამდე, ანუ, დაახლოებით 1000 კილომეტრზე ტვირთის გადაზიდვა იმდენივე ჯდება, რაც ამავე ტვირთის აშშ-ის დასავლეთ სანაპიროდან აღმოსავლეთ სანაპირომდე (დაახლოებით, ხუთი ათასი კილომეტრი) გადატანა. USAID-ის წარმომადგენლის რჩევით, რადგან ქართული პროდუქციის ფასი არაკონკურენტულია, საქართველომ განსაკუთრებით უნდა იზრუნოს პროდუქციის ხარისხზე. **"საქართველოში ძალიან გემრიელი პომიდორი გაქვთ, მაგრამ მას არავინ იყიდის მსოფლიო ბაზარზე. ბაზარი არჩევანს ფასის, ხარისხისა და სანდოობის მიხედვით აკეთებს, ეს კი ქართულ პროდუქციას ჯერ აკლია",** - განაცხადა ანდერსენმა.

საქართველო, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრი, სასურსათო კოდექსის სისტემას 2002 წლის ბოლოსთვის უნდა მიერთებოდა, მაგრამ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს რესტრუქტურიზაციისა და სტრატეგიის პროექტის ხელმძღვანელის დონ ვან ატას განცხადებით, საქართველომ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა ვერ გაითვალისწინა და ამჯერად ამ მხრივ ქვეყანას გარკვეული ჩამორჩენა აქვს. ატას თქმით, სასურსათო კოდექსის სისტემასთან მიერთება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს არსებული საერთაშორისო სტანდარტების მიღწევაში შეუწყობს ხელს, არამედ, ამ სისტემაში თვითმყოფადი ქართული სტანდარტების დამკვიდრებაშიც დაეხმარება.

## უცხოეთი

# საყოველთაო რეფერენდუმი პოლონეთში




გუშინ პოლონეთში დაწყებული საყოველთაო რეფერენდუმი დღეს დასრულდება. პოლონელები თავიანთი ქვეყნის ევროკავშირში შესვლის ბედს წყვეტენ. რეფერენდუმამდე, პოლონელებს თანამემამულემ რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ მიმართა და მოუწოდა - მხარი დაუჭირონ ევროკავშირში შესვლას. პოლონეთი ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი სახელმწიფოა. სწორედ ამიტომ პოლონეთის გადაწყვეტილებას ევროკავშირის გაფართოების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგაც კი, პოლონეთის საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავისი ქვეყნის ევროკავშირში შესვლის პერსპექტივით დაეჭვებულია. ამის ერთ-ერთ მიზეზს კი, ის ფაქტორი წარმოადგენს, რომ პოლონეთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აგროსამრეწველო სექტორი, რომელიც დღეს საკმაოდ დიდ სირთულეებს განიცდის, ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ძალზედ მცირე სუბსიდიებს მიიღებს.

გარდა ამისა, პოლონეთში ჯერჯერობით საკმაოდ სუსტად და ნელი ტემპით ვითარდება მრეწველობა. უმუშევრობამ პოლონეთში უკვე 20 პროცენტს მიაღწია. ევროკავშირის გაწევრიანების მოწინააღმდეგეები კი, აქტიურად იყენებენ ამ ფაქტორებს და აცხადებენ, რომ ევროგაერთიანებაში შესვლის შემდეგ, პოლონეთი მეზობელი გერმანიისათვის იაფი პროდუქცის გასაღების ბაზრად გადაიქცევა. მორალისტები კი მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის წევრობა პოლონელების ტრადიციულ კათოლიკურ ღირებულებებს გააუფასურებს. ყოველივე ამის მიუხედავად, ევროკავშირის მომხრეები საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენენ. ისინი თვლიან, რომ პოლონეთის მომავალი მხოლოდ ევროკავშირის წევრობაშია.

რეფერენდუმზე ორი კითხვაა დასმული: "დიახ" და "არა." თუკი, რეფერენდუმის შედეგები ევროკავშირში წევრობის ბედს ვერ გადაწყვეტს, მაშინ ამ მისიას საკუთარ თავზე პოლონეთის პარლამენტი აიღებს.

## თვალსაზრისი

# ნავთობსადენის გონივრული მარშრუტი - რუსეთის სამხედრო ბაზების საპირწონე

*რა პრიორიტეტებს აირჩევს აშშ-ს დეკლარირებული პარტნიორი და ანტიტერორისტული კოალიციის წევრი საქართველო ენერგომატარებლების ტრანზიტის საკითხში? საქართველოს მთავრობამ ჯერ "ბრიტიშ პეტროლიუმის" პრეზიდენტი, ლორდი ჯორჯ ბრაუნი დაიმედა მილსადენების პროექტის შეუფერხებელ განვითრებაში, ორი დღის შემდეგ კი, რუსული ენერგოგიგანტის "გაზპრომის" შეფს, ალექსეი მილერს საქართველოს ბაზარზე შემოსვლას დაჰპირდა. იმავდროულად, თბილისში ნატო-ს ეგიდით სამეცნიერო კონფერენცია მიმდინარეობდა, რომელზეც რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი უმნიშვნელოვანესი იყო. საქართველოს წარმავალი ხელისუფლება წინასაარჩევნო ზაფხულში დასიცხულივით იქცევა. "დღევანდელი კვერცხის" - წინასაარჩევნო დაფინანსების სანაცვლოდ, "ხვალინდელ ქათამს" - ქვეყნის განვითარების რამდენიმე ათწლეულზე გათვლილ მომავალს კლავს. თანაც, თავგზა აქვს აბნეული - ადრე აღებულ საგარეოპოლიტიკურ ვალდებულებებს, ახალი მსოფლიო წესრიგის რეალობას, საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების დაუოკებელ სურვილსა და დარჩენილ დროში ჯიბეების ამოსატენ სიხარბეს შორის. აშშ-ს შეშფოთებულმა რეაქციამ არ დააყოვნა. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციისთვის, როგორც ელჩ რიჩარდ მაილსისა და კასპიის ენერგორესურსების საკითხებში მრჩევლის სტივენ მენის განცხადებიდან გამოიკვეთა, გაუგებარია საქართველოს მთავრობის ენერგოთამაშები. დღეს გთავაზობთ პუბლიკაციას, სადაც მკაფიოდ ჩანს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებისადმი საქართველოს ხელისუფლების მყიფე, უუნარო და არათანმიმდევრული მიდგომა.*



REUTERS

*ბთჯ-ის ნავთობსადენის მარშრუტის შეცვლაზე კამათი არ დასრულებულა.*

"24 საათში" გამოქვეყნებულ წერილს **"ექსპერტთა მიმართვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და შაჰდენიზის გაზსადენის პროექტების მხარდასაჭერად",** სამწუხაროდ, გვიან გავეცანი, რის გამოც მასზე დაგვიანებული რეაგირება მომიხდა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ იგი, ობიექტური ანალიზის გარეშე, მიმართულია აღნიშნული მილსადენების ბორჯომის რეგიონში გატარების მოწინააღმდეგეთა გასაგონად და გასაკილავად. თქვენი კრიტიკის ორბიტაში მოექცა, აგრეთვე, ჩემსა და პროფესორ უჩა ზვიადაძის თანაავტორობით "24 საათი"-ს ა.წ. 25 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია: **"მილსადენები ჯავახეთში - საქართველოსათვის სწორი გადაწყვეტილებაა"**, რომელშიც ასახულია ნავთობსადენის მარშრუტის ბორჯომისა და ახალქალაქის - ვარიანტების ავკარგიანობა და ერთსახად გაცხადებულია, რომ ნავთობსადენმა, ბორჯომის რეგიონის ნაცვლად, ჯავახეთის ზეგანზე უნდა გაიაროს.

მე არ შევუდგები ზემოთ დასახელებულ წერილში მოტანილ უმართებულო განცხადებების ანალიზს, რომლებიც გაკეთებულია მასში ავტორებისთვის სასურველი ფონის შესაქმნელად. ჩვენ ვერ მივიჩნევთ მილსადენების განთავსების "ერთადერთ მისაღებ ვარიანტად" ნავთობსადენის მარშრუტის ცხრაწყარო-კოდიანის მონაკვეთს. ეს გადაწყვეტილება უარსაყოფია არა მარტო ჰიდროგეოლოგიური ან საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით. ამაზე ბევრი დაწერილა და თქმულა. ეს დაუშვებელია ქვეყნისათვის: ბორჯომის რეგიონის უნიკალური ეკოლოგიური სისტემის შენარჩუნების, სრულყოფილი ათვისებისა და განვითარებისათვის. **ეს ვარიანტი უარსაყოფია, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონის - ჯავახეთის (მდებარეობს თურქეთის, სომხეთისა და საქართველოს გასაყარზე და დასავლეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-ჩრდილოეთის გზების გადაკვეთაზე) სრული იზოლაციიდან გამოსვლის, ახალქალაქიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანისა და ჯავახეთის მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაღრმავების გამო.**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე მსჯელობისას მიზანშეწონილად მიმაჩნია შევახსენო ავტორებს, რომ გასულ კვირას თბილისში ვიზიტით ჩამოსულმა "ბი-პის" პრეზიდენტმა, ლორდმა ჯორჯ ბრაუნმა აღნიშნა: **"ჩვენ მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ პროექტის რისკი და მაქსიმუმამდე გავზარდოთ მისი სარგებლობა მოსახლეობისათვის."** თქვენ თავად განსაჯეთ, რამდენად პასუხობს მიღებული გადაწყვეტილება "ბი-პის" პრეზიდენტის ამ მოსაზრებას?

ანგარიშგასაწევია, რომ მილსადენის საერთო სიგრძე, ბორჯომის რეგიონზე გატარების შემთხვევაში, რამდენადმე ჭარბობს მის სიგრძეს ჯავახეთის ზეგანზე გატარებისას. ამასთან, ბორჯომში საქმე გვექნება უფრო რთულ რელიეფთან, მდინარეების ხშირ გადაკვეთასთან, მკაფიოდ გამოხატულ საშიშ გეოდინამიკურ პროცესებთან და მათ გააქტიურებასთან მილსადენების მშენებლობისა თუ ექსპლოატაციის დროს. ჯავახეთის ზეგანზე მილსადენების მშენებლობა კი წარიმართება, უმეტესად, ვაკე-ბორცვიან რელიეფზე, შედარებით რბილ ქანებში და ხელსაყრელ სამთო-გეოლოგიურ პირობებში. ამიტომ, მილსადენების მშენებლობაზე გაწეული ჯამური მატერიალური, შრომითი და ფულადი დანახარჯები ბორჯომის რეგიონზე უფრო მეტი იქნება, ვიდრე ჯავახეთის ზეგანზე. ამას არც თქვენ, ავტორები უარყოფთ, როდესაც აცხადებთ, რომ **"ახალქალაქის მარშრუტი ბორჯომის ვარიანტზე მოკლეც არის და, ტექნიკური თვალსაზრისით, უფრო იოლიც"** (გვ. 10).

ზემოხსენებული უფლებას მაძლევს, ეჭვქვეშ დავაყენო თქვენი მტკიცება, რომ **"ახალქალაქის ვარიანტზე საუბარი არათუ უნაყოფოდ დროის ხარჯვაა, არამედ საზიანოც, ვინაიდან საზოგადოების ყურადღება არასწორ მიზნებზე გადააქვს და ყურადღების გარეშე ტოვებს მთავარს"** (გვ. 12).

როგორც ვრწმუნდებით, მილსადენების ახალქალაქის მარშრუტის უარყოფის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ყოფილა რუსული სამხედრო ბაზა, რომლის "გავლენის ცენტრში" ხვდება თვით მილსადენი. საინტერესოა ვიცოდეთ ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზის "გავლენის არეალი". ხომ არ მოხვდება მასში თვით ცხრაწყარო-კოდიანის მარშრუტი, თუ გავითვალისწინებთ, რომ უმოკლესი მანძილი ახალქალაქიდან ამ მონაკვეთამდე შეადგენს სულ რაღაც 30-40 კმ-ს?

თქვენს წერილში ყურადღება აქვს დათმობილი იმ გარემოებას, რომ ახალქალაქის რუსულ სამხედრო ბაზაში დასაქმებულია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და მილსადენების ჯავახეთის ზეგანზე გატარების შემთხვევაში, სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფილი იქნება ბაზაში დასაქმებულთა მხოლოდ 10 პროცენტი. ხომ არ გსურთ, ბატონებო, ამ ნაკლებ სარწმუნო ინფორმაციით გააქარწყლოთ მილსადენების როლი ჯავახეთის რეგიონის განვითარების საქმეში და გაამართლოთ ახალქალაქში რუსული სამხედრო ბაზის გაყვანის გაჭიანურების პოლიტიკა, რათა ადგილობრივი მოსახლეობა მეტი დროითა თუ რაოდენობით "დასაქმდეს" სამხედრო ბაზაში. იქ კი, როგორც მოგეხსენებათ, უბრალოდ შრომითი მოწყობა არ ხდება, არამედ მათი უმრავლესობა გადის სამხედრო სამსახურს, რუსეთის ოფიცრების ხელმძღვანელობით. ეს ყველაფერი იმ დროს, როდესაც საქართველოში მზარდი ტემპით მიმდინარეობს "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა აშშ-ს დახმარებით და რუსული "გაზპრომის" მოსალოდნელი ენერგოექსპანსია ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ სახელმწიფოს ძალიან აშფოთებს. ხომ არ გვთავაზობთ, ბატონებო, რომ "გაუქმდეს" სტამბულის სამიტის გადაწყვეტილება, რათა ხანგრძლივად დარჩეს რუსული სამხედრო ბაზა ახალქალაქის რეგიონში?

თქვენ საეჭვოდ მიგაჩნიათ ახალქალაქის რაიონის მოსახლეობის ყველა ფენის ლოიალობა მილსადენისადმი და ამახვილებთ მკითხველის ყურადღებას ე.წ. "გარეშე ძალების" მიერ შესაძლო **"პროვოკაციებსა და მასობრივი დაუმორჩილებლობის ინსპირაციაზე"**. ძალზე არაკორექტული და გაუმართლებელი განცხადებაა საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის მიმართ. თუ გავყვებით მსგავს მსჯელობას, მაშინ მილსადენების მშენებლობისა და ექსპლოატაციის მიზანშეწონილება საეჭვო უნდა გავხადოთ მთელ ტრასაზე თუ არა, მის მნიშვნელოვან ნაწილზე მაინც.

რაც შეეხება "გარეშე ძალების" ფაქტორს, ცხადია, ისინი შეეცდებიან პროვოკაციული ქმედებანი განახორციელონ, უპირველესად ნავთობსადენის იმ უბნებზე, სადაც მოსალოდნელი იქნება უფრო დამანგრეველი და კატასტროფული შედეგები. ამ თვალსაზრისით კი, ჯავახეთის მონაკვეთი ნაკლებ საფრთხიანია, ვიდრე ცხრაწყარო-კოდიანისა და წალკის მონაკვეთები. ამიტომ ვფიქრობთ, რომ "გარეშე ძალების" პროვოკაციის სამიზნედ, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება იქცეს ბორჯომის რეგიონი და არა ჯავახეთის ზეგანი. მით უმეტეს, რომ ორივე მათგანი რუსეთის სამხედრო ბაზის გავლენის სფეროშია განლაგებული.

მსგავსი განცხადება იმას ხომ არ ნიშნავს, რომ **ხელისუფლება ჯავახეთში არსებულ სიტუაციას ვერც ფლობს და ვერც აკონტროლებს,** რის გამოც, ექსპერტების სიტყვით რომ ვთქვათ, **"არც ერთი ინვესტორი არ განახორციელებს ინვესტიციებს რეგიონში, სადაც მსგავსი პირობები უეჭველად გადაჭრილი არ იქნება"**. მადლობის მეტი რა გვეთქმის გულწრფელობისათვის. ამის შემდეგ ისღა დაგვრჩენია, რომ ვაღიაროთ, თუ რატომ აარიდა თავი ჩვენმა ხელისუფლებამ და კომპანია "ბი-პიმ" მილსადენების ჯავახეთის რეგიონში გატარებას და იძულებული გახდა, არჩევანი უარეს ვარიანტზე - ცხრაწყარო-კოდიანის მონაკვეთზე გაეკეთებინა.

სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ მილსადენების ჯავახეთის ზეგანზე გატარების შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს რადიკალური ღონისძიებების შემუშავება და გატარება რეგიონში საკუთარი იურისდიქციის განმტკიცების, მოსახლეობის დასაქმების, რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანისა და ქართული საჯარისო ნაწილებით ჩანაცვლების, უკანონოდ დაგროვილი იარაღის მოსახლეობიდან ამოღებისა და შესაძლო კრიმინალური გამოვლინებების აღკვეთის მიზნით.

ეს ღონისძიებები ჯავახეთში უახლოეს მომავალში მაინც გასატარებელი იქნება იმისდა მიუხედავად, თუ სად განათავსებენ მილსადენებს - ბორჯომის რეგიონში, ჯავახეთში თუ სხვაგან. მილსადენების ჯავახეთის ზეგანზე გატარება დააჩქარებს მათ რეალიზაციას და რეგიონის სრულყოფილ ინტეგრაციას უზრუნველყოფს. იგი, იმავე დროს, იხსნის ბორჯომის რეგიონს ეკოლოგიური ექსპანსიისაგან და ყველაზე წარმატებული - მინერალური წყლის, პრაქტიკულად, მუდმივი და მზარდი - ბიზნესის კვდომისაგან. მით უფრო, რომ ახლა ქართულ წყლის წარმოებას ახალი სტრატეგიული ბაზარი უჩნდება - ერაყის აღდგენის პროგრამაში სასმელი წყლით მომარაგების კომპონენტი ქართულ კომპანიებს ყველაზე დიდ შანსს აძლევს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჯავახეთში აღნიშნული ღონისძიებების გატარებაში დახმარებას ჩვენი მეგობარი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები (ეუთო, გაერო, ევროსაბჭო, ნატო, მსოფლიო ბანკი და სხვა) აღმოგვიჩენენ. განა, სწორედ ევროსაბჭოსა და ეუთო-ს კარნახით არ დაჩქარდა სამცხე-ჯავახეთის ინტეგრაციისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება? ან თუნდაც, ამ ცოტა ხნის წინათ ნატო-ს გენერალური მდივნის ჯორჯ რობერტსონის თბილისში ხანმოკლე ვიზიტის შედეგი არ კმარა, რომ კავკასიის რეგიონში შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, ეუთო-ს სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების თანახმად, ნატოში შესვლამდე საქართველოში რუსული ჯარები არ იდგებიან.

ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ, ითვალისწინებდა რა სამცხე-ჯავახეთის მხარის უზარმაზარ სტრატეგიულ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის, მათი კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის, საქართველოს ეროვნული აკადემიის რეგიონების სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სამეცნიერო-შემოქმედებითმა სამსახურმა შეიმუშავა სამცხე-ჯავახეთის მეურნეობის აღდგენა-განვითარების, მოსახლეობის დასაქმებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების პროგრამა. მის ფარგლებში მიზანშეწონილი იქნებოდა, აგრეთვე, ნავთობისა თუ გაზსადენების პრობლემის ობიექტური და მიუკერძოებელი განხილვა. გამოვთქვამთ მზადყოფნას, რათა შევხვდეთ რეგიონის, ნავთობკომპანიის და ხელისუფლების წარმომადგენლებს აქ წამოჭრილი საკითხების განხილვისა და შეფასების მიზნით.

პატივცემულო ექსპერტებო, ეჭვი არ მეპარება თქვენს კეთილგონიერებაში. საჭიროა გავითავისოთ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები, გონს მოვეგოთ და ვირწმუნოთ, რომ ნავთობისა და გაზის მილსადენების პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის უაღრესად დიდი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს პრობლემა დიდ დატვირთვას იძენს ჩვენი მეზობელი ქვეყნებისა და ინვესტორებისათვის, აგრეთვე იმ ქვეყნებისათვის, რომელთა სამსახურში მომავალში ეს ობიექტი შეიძლება ჩადგეს.

ჩვენ არ გვაქვს უფლება, დავუშვათ მცირე შეცდომაც კი, რაც ძალიან ძვირად დაუჯდება და ტრაგიკულ შედეგს მოუტანს ქვეყანასა თუ ხალხს.

**ალექსი მიქელაძე**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის რეგიონების სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სამეცნიერო-შემოქმედებითი სამსახურის ხელმძღვანელი, საქართველოს პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.*

# ჰამასი: „დიალოგი დასრულებულია"

გასამხედროებულმა რადიკალურმა ისლამურმა დაჯგუფება "ჰამასმა" გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც ის პალესტინის პრემიერ-მინისტრთან მაჰმუდ აბასთან (აბუ მაზენთან) წყვეტს მოლაპარაკებათა პროცესს. ეს გადაწყვეტილება "ჰამასის" ლიდერებმა მას შემდეგ მიიღეს, რაც პალესტინის პრემიერ-მინისტრმა იორდანიაში ისრაელის და აშშ-ის ლიდერებთან გამართულ შეხვედრაზე სამშვიდობო განცხადებები გააკეთა. მაჰმუდ აბასმა სამიტზე პირობა დადო, რომ პალესტინელთა შეიარაღებულ წინააღმდეგობას დაასრულებდა. ეს კი რადიკალ პალესტინელებს არ აწყობთ. ისინი შეიარაღებული ბრძოლის გარდა სხვა საშუალებებს არ ცნობენ. სწორედ ამიტომაც, "ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა აბდელ-აზიზ ალ-რანტიზმა განაცხადა: **"დიალოგი დასრულებულია. პრემიერმა მაჰმუდ აბასმა ისრაელს პალესტინელთა დაუბრკოლებლად დახოცვის საშუალება მისცა."** ალ-რანტიზის განცხადება მას შემდეგ გავრცელდა, რაც ისრაელის სამხედროებმა დაჯგუფება "ჰამასის" ორი მებრძოლი მოკლეს. დაჯგუფების ლიდერმა ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით განაცხადა, რომ "ჰამასს" ისრაელთან შეიარაღებული ბრძოლის გარდა, სხვა არჩევანი აღარ რჩება.

აშკარაა, რომ "ჰამასის" ამ განცხადებამ სამშვიდობო პროცესი შესაძლოა მთლიანად ჩაშალოს და კონფლიქტი გამოუვალ ჩიხში შეიყვანოს. თუმცა, დაჯგუფებას ასეთი პოზიციის დაკავების გარკვეული მოტივიც მოეძებნება: ებრაელმა სამხედროებმა მათი წევრები სწორედ სამშვიდობო პროცესის დაწყების დროს დაცხრილეს.

როგორც ცნობილია, პალესტინის პრემიერ-მინისტრი ცდილობდა "ჰამასის" და მეორე დაჯგუფების – "ისლამური ჯიჰადის" დარწმუნებას ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობაში. ისრაელიც ამ შემთხვევაში თანახმა იყო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან თავისი საჯარისო ნაწილები გაეყვანა და პალესტინურ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების მშენებლობის პროცესი შეეჩერებინა. ცხადია, ამ შემთხვევაში კონფლიქტის საფუძველიც მინიმუმადე იქნებოდა დაყვანილი. ერთადერთ სადავო საკითხად იერუსალიმი დარჩებოდა, რომლის სტატუსიც 2004 წელს უნდა გაირკვეს. ახლა კი, მთელი სამშვიდობო გეგმის – "საგზაო რუკის" რეალური განხორციელება უკვე ეჭვის ქვეშ დგას. ჯერჯერობით უცნობია თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს პალესტინელთა პრემიერ-მინისტრი. ერთი რამ ცხადია, რომ ის ძალიან რთულ ვითარებაში იმყოფება.



REUTERS

*"ჰამასის" აქტივისტების საპროტესტო გამოსვლა ღაზაში*

# ამერიკელი მასწავლებლები ქართულ სკოლაში

*რამდენიმე თვეა საქართველოში სტუმრად იმყოფება ამერიკელ მოქალაქეთა ორი ოჯახური წყვილი. სტივ და შარ პიტერსონები საერთაშორისო ორგანიზაციის "ხსნის არმიის" მისიონერები არიან და სოციალურად დაუცველ ფენებს ეხმარებიან, სელი და დინ ჰეკინგსები-პენსიონერი მასწავლებლები, საკუთარი ხარჯით ჩამოვიდნენ და ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს უფასოდ ამეცადინებენ.*

ლელა მარგიანი

ისინი სტუმრად მიიწვიეს თბილისის ეროვნული კულტურის სკოლაში "კაი ყმა", სადაც ტრადიციად აქვთ ჩვენი ქვეყნით დაინტერესებული უცხოელების მასპინძლობა.

მოსწავლეებმა ინგლისურ ენაზე სხვადასხვა ხასიათის კითხვები დაუსვეს სტუმრებს. ბავშვებს ყველაფერი აინტერესებდათ სტუმრების შესახებ და შეხვედრით კმაყოფილი ამერიკელი ბებია-ბაბუებიც დაუზარებლად პასუხობდნენ ცნობისმოყვარე პატარა ქართველებს.

თქვეს, რომ მართალია, იანვარში ღამის ორ საათზე ჩამოფრინდნენ ჩაბნელებულ და გაყინულ თბილისში და ამიტომ პირველი შთაბეჭდილებები საკმაოდ "ცივი და გაყინული" ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ ქართველებთან ურთიერთობამ ეს "ყინული" სრულიად გაადნო.

სამი უცხო ენის - რუსულის, ინგლისურის და გერმანულის მცოდნე ქართველი მოსწავლეების კითხვაზე - სწავლობენ თუ არა ამდენ ენას მათი ამერიკელი თანატოლები, მასწავლებლებმა სელი და დინ ჰეკინგსებმა გულდაწყვეტით აღნიშნეს, რომ ამერიკელმა ბავშვებმა ფაქტიურად მშობლიური ენის გარდა სხვა ენა არ იციან. ამერიკელების ასეთ პასუხს სკოლის დირექტორის პროფესორ იზა ჩანტლაძის კომენტარი მოჰყვა, რომ საქართველოში მიაჩნიათ, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო.

შეხვედრის ბოლოს სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა ამერიკელ სტუმრებს ორიგინალური კერამიკული ნივთები უსახსოვრა. ვალში არც სტუმრები დარჩნენ- სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები ინგლისური ენის უკეთ შესწავლის მიზნით მიცკევიჩის ქუჩაზე დაფუძნებულ თავიანთ ცენტრში დაპატიჟეს.

# დაიწყო საინფორმაციო კამპანიის მეორე ეტაპი

*სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ნიდერლანდების სამეფოს ელჩმა ჰარი მოლენაარმა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (მსო) რეგიონალურმა წარმომადგენელმა კავკასიაში, მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში დავიდე ტერცმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს მსო-ს საინფორმაციო კამპანიის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ.*

2002 წელს დაწყებული საინფორმაციო კამპანია მიზნად ისახავდა არალეგალური მიგრაციის და ადამიანების ტრეფიკინგის შემცირებას ინფორმაციის გავრცელების საშუალებით. მსო-ს საინფორმაციო კამპანიის პირველი ეტაპი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა. ჩატარებულმა სამუშაომ პროექტის მონაწილე მხარეები დაარწმუნა პროექტის გაგრძელების აუცილებლობაში.

დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონიაზე ნიდერლანდების სამეფოს ელჩმა ჰარი მოლენაარმა თქვა, რომ მათი და მსო-ს თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება. ამავე დროს "ნიდერლანდების საელჩოს გადაწყვიტილი აქვს ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას, არალეგალური მიგრაციის და ტრეფიკინგის პრობლემების გადაწყვეტის საქმეში."

დევიდე ტერცმა აღნიშნა, რომ საინფორმაციო კამპანიის პირველი ეტაპის დროს ძირითადი ცენტრი თბილისი იყო. მეორე ეტაპზე კი საქართველოს რეგიონებში აპირებენ საკონსულტაციო ცენტრების გახსნას. დასავლეთ საქართველოში საინფორმაციო ცენტრი გაიხსნება – ქუთაისში, სავარაუდოდ ივლისის დასაწყისში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ცენტრი გაიხსნება ან თელავში, ან გურჯაანში. მსო-ს საინფორმაციო კამპანიის მეორე ეტაპი კვლავ ერთი წელი გაგრძელდება და მისი ბიუჯეტი 130 ათასი ამერიკული დოლარი იქნება.

## ინფორმაცია

### თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს ელექტროენერგიის მიწოდება მკაცრად შეეზღუდა

გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით 500-კილოვატიანი გადამცემი ხაზი "ქართლი 2" დროებით გამოირთო. ამის გამო ელექტროენერგიის მიწოდება მკაცრად შეეზღუდა თბილისსა და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედ ყველა მომხმარებელს.

საქართველოს "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ცნობით, აღდგენითი სამუშაოები 10 ივნისამდე 9.00-დან 19.00 საათამდე ჩატარდება. ელექტროენერგია პრიორიტეტულად პირველი კატეგორიის მომხმარებლებსა და სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებს მიეწოდებათ.

სახელმწიფო ელექტროსისტემაში განაცხადეს, რომ "საქრუსენერგოს" კუთვნილი "ქართლი 2"-ის აღდგენის აუცილებლობა კიდევ ერთხელ დაადასტურა გუშინ მომხდარმა ავარიამ, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს ჩაბნელება გამოიწვია. თუკი გადამცემი ხაზის რეაბილიტაცია არ ჩატარდება, "ელექტროსისტემაში" მსგავსი ინციდენტის განმეორების შესაძლებლობას არ გამორიცხავენ. **ინტერ-პრესი**

### წელს თბილისში ყვავილების დღესასწაული მოკრძალებულად აღინიშნა

დიღმის მასივში, ტექსტილის ბულვარში გუშინ ყვავილების დღესასწაული გაიმართა. ყვავილების დღესასწაულზე თბილისის მერთან ვანო ზოდელავასთან ერთად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე, თბილისის მერიის გარემოს დაცვის კომიტეტი და ხუთივე რაიონის გამგეობების წარმომადგენლები მივიდნენ.

თითოეულ რაიონს ერთი წლის განმავლობაში გამწვანების სამსახურის მიერ გამოყვანილი ქოთნის ყვავილები ჰქონდა წარმოდგენილი.

ვანო ზოდელავას განცხადებით, ეს არის შემაჯამებელი დღე, თუ რა გაკეთდა დედაქალაქში გარემოს დაცვის კუთხით. დედაქალაქში სკვერების განახლება კვლავ გაგრძელდება და წლის ბოლოსთვის 50 ახალი სკვერი შეემატება თბილისს. გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ნინო ჩხობაძემ კი ისურვა, რომ მომავალი წლისთვის ყვავილების დღესასწაული უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდეს და მასში საქართველოს რეგიონებმაც მიიღონ მონაწილეობა. **ინტერ-პრესი**

### ხვალ და ზეგ დეზერტირების ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე გენერალური დასუფთავება ჩატარდება

თბილისის სანიტარული ზედამხედველობის სამსახური დღეს და ხვალ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან ერთად, დეზერტირების ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე გენერალურ დასუფთავებას ჩაატარებს.

სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, რომ აბასთუმნის, ცაბაძის, თევდორე მღვდლის და წინამძღვრიშვილის ქუჩები ორი დღით გადაიკეტება. ამ ტერიტორიიდან ყველა გარემოვაჭრეს გაიყვანენ. ტერიტორია დასუფთავდება, გადაირეცხება და სადეზინფექციო საშუალებებით გასუფთავდება. **ინტერ-პრესი**

### ახალი ციფრული სატელეფონო ქსელი თელავში

გუშინ თელავში სააქციო საზოგადოება „საქართველოს ელექტროკავშირის" თელავის ფილიალის ბაზაზე დამონტაჟებული ახალი ციფრული სატელეფონო სადგურის პრეზენტაცია მოეწყო. სადგური 6.000 აბონენტზეა გათვალისწინებული და თელაველებს საერთაშორისო სტანდარტების შესაფერის 50-მდე სახის მომსახურებას სთავაზობს. როგორც პროექტის ხელმძღვანელმა, ზვიად ქობალიამ განაცხადა, სენაკის, ხაშურის, სურამის და გორის შემდეგ, თელავში ეს „საქართველოს ელექტროკავშირის" მიერ განხორციელებული მეხუთე პროექტია. სააქციო საზოგადოება „საქართველოს ელექტროკავშირის" თელავის ფილიალის აბონენტებისთვის ახალ სადგურზე გადართვა 50 ლარი ეღირება, სააბონენტო გადასახადი ოთხი ლარი იქნება, ხოლო ტელეფონის დადგმის მსურველი 180 ლარს გადაიხდის. თელაველთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ძველი სატელეფონო სადგურიდან ახალზე გადართვის ფასები გაუმართლებლად მაღალია. **მედია-ნიუსი**

# ახალი სტუდენტური მოძრაობა არჩევნებში ჩართვას ითხოვს

*ვიდრე პარლამენტში საარჩევნო კანონს მიიღებენ და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ადგილებს გადაინაწილებენ, საარჩევნო პროცესებში ჩართვის პრეტენზია სტუდენტების გარკვეულმა ნაწილმაც გამოთქვა. ამის შესახებ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა საჯაროდ პირველად გუშინ განაცხადეს.*

ირინე სანებლიძე

"იმ ფონზე, როცა სტუდენტების უმეტესობა პოლიტიზებულია, ჩვენ განგებ არ შევყარეთ ხალხი, ჟურნალისტები, რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესების გამტარებლად რომ არ მოგვიაზრონ", - ასე დაიწყეს თავის გაცნობა ახალი, უსახელო სტუდენტური მოძრაობის აქტივისტებმა.

ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სახელით გამოდიან და საპარლამენტო არჩევნების პროცესებში ჩართვას, კერძოდ კი, საარჩევნო ადმინისტრაციებში – საუბნო, საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში სტუდენტების დამკვირვებლებად მიწვევას მოითხოვენ. "მეთვალყურეების ან დამკვირვებლების ფუნქციას შევასრულებთ. ბერკეტები არ გვექნება, უბრალოდ, ჩვენი თვალით გვინდა დავინახოთ, რა მოხდება, რომ მერე წყნარად ვიყოთ", - აღნიშნეს აქტივისტებმა.

ახალი მოძრაობის წევრები ამტკიცებენ, რომ ყველა პოლიტიკური პარტიის მიმართ ნეიტრალურები არიან. "სულ ერთია, ვინ იქნება, მთავარია, იყოს წინამძღოლი, ბელადი, ვინც საქართველოს წაუძღვება", - აღნიშნა ერთ-ერთმა წევრმა.

ბელადისა და წინამძღოლის მოლოდინში სტუდენტები გულხელდაკრეფილი ყოფნას არ აპირებენ და აცხადებენ, რომ სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად ყველაფერს გააკეთებენ. თუ არ დააკმაყოფილეს ახალი მოძრაობის მოთხოვნა ან გაყალბდა არჩევნები, სტუდენტები არც შიმშილობის დაწყებას აპირებენ და არც აქციების სერიალს. "სტუდენტები მაინც ანგარიშგასაწევი ძალააო", აღნიშნა ერთმა და მაგალითისთვის ჯერ "თერგდალეულები" გაიხსენა, მერე კი - დე გოლი და 1969 წლის საფრანგეთი.

"ხალხი ჭკუაზე აღარ არის. როდის დაიწყება სამოქალაქო ომი, არავინ იცის. ომი კი, არა მგონია, ვინმეს უნდოდეს. თუ კეთილი ნება იქნება, ჩვენი მოთხოვნაც შესრულდება და სამართლიანი არჩევნებიც ჩატარდებაო", - თქვეს სტუდენტებმა.

## მოგზაურობა

# დიდი წარსულის სიახლოვე

ინგა ფოჩხუა

*მასალა ეძღვნება ძვირფასი პედაგოგების: ენათმეცნიერ – ოთარ ურიდიასა და აკადემიკოს, ალექსანდრე (შურა) გვახარიას ნათელ ხსოვნას.*



ბანა



დოლისყანა



ხახული



ოშკი

მინდა, დღევანდელი ყოფა დროებით მიგავიწყოთ და ისტორიულ სამხრეთ საქართველოზე (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია) გიამბოთ.

ტაო-კლარჯეთი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ერთ-ერთი უდიდესი კერა, VIII-X საუკუნეებში აქ ფართოდ გაიშალა სამონასტრო მშენებლობა (ბანა, ხახული, ოშკი, პარხალი, იშხანი, ოთხთა ეკლესია და სხვა). აქ მიეცა დასაბამი ბაგრატიონთა დინასტიას...

XVI საუკუნის II ნახევრიდან საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, ტაო-კლარჯეთი სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში იყო. XVI საუკუნის 50-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ მხარეები ოსმალებმა დაიპყრეს.

პირველად 1904 წელს, ტაო-კლარჯეთში ქართველ მეცნიერთაგან დიდ ექვთიმე თაყაიშვილს უმოგზაურია, მეორედ კი - 1912 წელს მხატვრებთან, დავით კაკაბაძესთან და ლადო გუდიაშვილთან ერთად.

საინტერესოა რეჟისორ გურამ პატარაიას დოკუმენტური ფილმი - "შორია გურჯისტანამდე?", რომელიც 70-იან წლებშია გადაღებული. რა ხდება დღეს ტაო-კლარჯეთში? ამ და სხვა საინტერესო თემებზე გვესაუბრება ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი, პროფესორი გრივერ ფარულავა.

მიუხედავად უდროობისა, ბატონი გრივერი სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე.

შინ ვესტუმრეთ... დიდი ხანია ასეთი სიხარული არ განმიცდიაო... აღნიშნა ინტერვიუმდე.

ბიოგრაფიული შტრიხები:

გრივერ ფარულავა დაიბადა 1936 წელს თბილისში. უდანაშაულო მამა 1937 წელს დაუხვრიტეს. შემდეგ დედულეთში (გურიაში) იზრდებოდა... წარმოშობით მათი გვარი სამტრედიიდანაა, სოფელ საჯავახოდან.

ჰყავს მეუღლე: იათამზე ფარულავა, შვილები: თეა, თორნიკე, თამთა...

გრივერ ფარულავა "ჩემი სულის სამშობლოა", აღნიშნა მისმა ყოფილმა სტუდენტმა. ამ სიტყვებით კი, მრავალთა აზრია გამოხატული.

**- ბ-ნო გრივერ! პირველ ყოვლისა, გილოცავთ ამ დიდ სიხარულს; რა მიზნით გაემგზავრეთ ტაო-კლარჯეთში? ვინ დაგაფინანსათ? როგორ დაკომპლექტდა ჯგუფი? რას ელოდით? რა დაგხვდათ? გთხოვთ გაგვიზიაროთ შთაბეჭდილებები.**

- დიდ მადლობას მოგახსენებთ... ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველისა და თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის ტარიელ ლებანიძის ინიციატივით 16-19 მაისს მოეწყო ექსპედიცია ძველი საქართველოს ისტორიულ პროვინციებში – ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში. მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ისტორიკოსები, ფილოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ჟურნალისტები. ექსპედიცია სქართველოს მთავრობამ დააფინანსა.

ეს იყო ექსპედიცია-მოხილვა, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული კულტურის ერთობ მნიშვნელოვანი ძველი კერების დღევანდელი მდგომარეობის შესწავლა-დაფიქსირებას, იმ აზრის შემუშავებას, რით და როგორ შევეშველოთ ამ ძეგლების გადარჩენას, მეცნიერულად შესწავლას.

**- რომელი ეკლესია-მონასტრები მოინახულეთ?**

- მოვინახულეთ: დოლისყანა, ტბეთი, ოპიზა, პარხალი, ოთხთა, იშხანი, ოშკი, ხახული, ბანა. ისინი უფრო უკეთეს მდგომარეობაში დაგვხვდნენ, ვიდრე მოველოდით და გვეგონა. ოპიზის ტაძრის ერთი ნაწილი გზის გაყვანას შესწირვია. ვიღაც გარეწარ ფანატიკოსს ალუმართავს ხელი ტბეთის მონასტრის დასაზიანებლად. ყველა დანარჩენ ტაძარს მხოლოდ ჟამთა სიავით მიყენებული ჭრილობები აჩნიათ, ყველა მათგანის (ტბეთისაც) გამაგრება შეიძლება, ისე მაგრად დახვედრიან დროის მსახვრალ ხელს. ცხადია გადარჩნენ უპირველეს ყოვლისა, იმ დუღაბით, ძალით, რომელსაც რწმენა, სიყვარული ჰქვია. აი, ასე შეუდუღაბებიათ ჩვენს დიდ, სახელოვან წინაპრებს ქვა ქვასთან, აგური აგურთან, სვეტი თაღთან, კედელი კამარასთან და გუმბათთან.

**- როგორ მდგომარეობაში დაგხვდნენ ეკლესია-მონასტრები?**

- ჭრილობიანები დაგვხვდნენ, გაჭაღარავებულნი, შუბლჩამოღარულნი, მაგრამ დიდი ღირსებით გამომზირალნი, ამოურწყავი შთაგონების მომნიჭებელნი. ყველა მათგანზე შეიძლება გავიმეოროთ გალაკტიონის სიტყვები: "მზერა ქართულია სივრცის დაუნჯებით..."

აბრეშუმის ძაფით ნაქარგი გეგონებათ იშხნის, ოშკის, ხახულის ორნამენტების დეკორი. თითქოს მარტო ფრთები აკლიათო, საცაა ზეცად აიჭრებიანო, ისე გამოიმზირება მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, კაკლისა და კომშის ხეებით გადაფარულ ფერდობზე წამომართული ოთხთა ეკლესია, თორთომ-ისპირის მთის ტაფობზე ტანკერად აზიდული იშხანი. მთლიანი საქართველოს მძლავრ სუნთქვას დღესაც გამოსცემს ოშკის გრანდიოზული ტაძარი.

**- ეს თქვენი პირველი სამეცნიერო ექსპედიცია იყო...**

- დიახ, პირველად გახლდით და იშვიათად მიგრძვნია წარსულის სიახლოვე ასე ძალუმად, როგორც აქ, ბებერი ტაოსა და კლარჯეთის, შავშეთისა და ისპირის სანახებში, რომ ჩვენ გვმეგზურობდნენ, თან გვახლდნენ იმ დიდ წინაპართა სულები, რომლებიც ამ სავანეებს აფუძნებდნენ, აქ ქმნიდნენ ქართული ქრისტიანული კულტურის ფასდაუდებელ ნიმუშებს: გრიგოლ ხანძთელისა და საბა იშხნელისა, აშოტ, ბაგრატ და დავით კურაპალატებისა, იოანე-ვარაზვაჩესი, იოანე ხახულისა თუ გიორგი ათონელისა, არსენი ნინოწმინდელისა, ბექა და ბეშქენ ოპიზრებისა... მათი სათუთი ხელებით ნალოლიავები თლილი კედლებიდან, ნატიფად მოხაზული ფრესკების ფრაგმენტებიდან მოდიოდა მათი სუნთქვა.

**- ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში რომელი ტაძარია?**

- ყველაზე უკეთ გადარჩენილა პარხლისა და ხახულის ტაძრები,ვინაიდან იქ მეჩეთები მოუწყვიათ, კედლები და სახურავები გაუმაგრებიათ, თუმცა ისიც გვითხრეს, რომ აპირებენ მეჩეთები გამოიტანონ ჩვენი ტაძრებიდან.

**- ამჟამად, ტაო-კლარჯეთში თუ ცხოვრობს ქართული მოსახლეობა?**

- ქართული მოსახლეობა დღესაც რიცხვმრავლადაა ამ პროვინციებში, მაგრამ ქართული ენა ცოტამ იცის, უფრო მოხუცებმა.

**- როგორ გხვდებოდნენ?**

- ყველგან სიხარულით გვხვდებოდნენ ჩვენი თანამემამულენი, სევდასაც გამოხატავდნენ და ლტოლვასაც ჩვენკენ. ქართულის ცუდად მცოდნე ახალგაზრდებმა დაიჩივლეს: ქართული წიგნი და გაზეთი გვინდაო, ქართული ხალხური სიმღერების მოსმენაც მოგვენატრაო...

**- ტელეგადაცემებს თუ ღებულობენ?**

- ქართული რადიო და ტელევიზია (რუსთავი 2) ძნელად აღწევს ჩვენამდე, მაგრამ ჩვენებურ სიმღერას თუ მოთხრობას, ლექსს იშვიათად გადმოსცემენო. დოლისყანაში შევხვდით ქართულის კარგად მცოდნე ვარსანიძეს, პარხლის მიდამოებში – საბანიძეს, რომელმაც ქართული თითქმის არ იცოდა, არც ტბეთელმა თულაძემ. მაგრამ ბორჩხასთან გავიცანით რიდვან გათენაძე, ფიზიკის მასწავლებელი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც რიგიანად მეტყველებდა ქართულად. ხახულის ტაძართან ჩვენ გარეშემო შემოკრებილმა ქართველმა ბავშვებმა გვკითხეს, რატომ არ გვასწავლიან ქართულსო...

**- რა პერსპექტივა ისახება?**

- რჩება შთაბეჭდილება, რომ თურქეთი, რომელიც ნამდვილად ილტვის ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის სივრცეში დასამკვიდრებლად, ხელს შეუწყობს ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენას. ასეთ ხელშეწყობას იუნესკო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ნორმად მიიჩნევენ. ოშკს, იშხანს, ოთხთასა თუ ხახულს არც ტურისტთა ინტერესი მოაკლდება, ხოლო ტურიზმით მიღებული შემოსავალი თურქეთის ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

იმავე ტაძრების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა და ღირებულება ჩვენ უნდა მოვაქციოთ კულტურულ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების, ფონდების ყურადღების ცენტრში. ალბათ, ქართველი ბიზნესმენებიც გამოიღებენ ხელს. საბოლოოდ ყველაფერი დამოკიდებული იქნება ქართველი ხალხისა და მის მესვეურთა გარჯაზე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დიდი სული, ღვთაებრივისა და მამულიშვილურის გამამთლიანებელი, რომლის ძალითაც ეს ტაძრები წამოიმართა, ისე არ დამცრობილა, რომ დღემდე მოსული ვერ გადაარჩინოს.

**- და ბოლოს, წარწერები დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წაკითხული ხომ არ წაშლილა?**

- თქვენ რომელ წარწერებს გულისხმობთ?

**- თითქმის ყველას...**

- ზოგან შემორჩენილია, ზოგან კი წაშლილი.

**- ბ-ნო გრივერ! ხომ არ დაამატებდით რამეს?**

- დიდი მადლობა ყველას, ვინც გულმხურვალედ გაისარჯა, რათა ექსპედიცია ნაყოფიერი ყოფილიყო: ჩვენი უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს, საქართველოს ელჩს თურქეთის რესპუბლიკაში ბატონ ტარიელ ლებანიძეს, საელჩოს თანამშრომლებს ბატონებს: გამეზარდაშვილს, სარიშვილს, ჯაფარიძეს, რომელთა თანადგომა დიდად შეგვეწია.

**P.S.** დიდი მადლობა ძვირფას კოლეგას ბ-ნ არმაზ სანებლიძეს ფოტოების მოწოდებისთვის.

# ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა პენ-მარათონის გემმა

თამარ სუხიშვილი

გიორგი წერეთელის "პირველი ნაბიჯი" ასე იწყება: "იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემმა, მისმა წივილმა პირველად განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძლურებულ საქართველოს ერს. ეს იყო ახალი დროის მამლის ყივილი დასავლეთ საქართველოში. ფოთი აღინიშნა შავი ზღვის კიდეზე კავკასიის ბოლაზათ".

ჩვენ კი ასე დავიწყებთ: იყო დრო (2003 წლის 7 ივნისი), როცა ქალაქ ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა პენ-მარათონის გემმა... ეს იყო ახალი ლიტერატურული კონკურსების მამლის ყივილი დასავლეთ საქართველოში. ფოთი აღინიშნა შავი ზღვის კიდეზე ქართული საკალმო შეჯიბრებების ბოლაზათ.

გუშინ დილის 12 საათისთვის ფოთის პორტში უამრავი ხალხი ირეოდა. ყველა მოუთმენლად ელოდა, როდის შეცურავდა გაშლილ ზღვაში ფერად-ფერადი ალმებით მორთული გემი "კაპიტანი თავართქილაძე" მწერალთა ეკიპაჟით. მოვლენები ფოთის ნავსადგურში ასეთნაირად განვითარდა: ლიტერატურული შეჯიბრის მონაწილენი ჟურნალისტების შეკითხვებს ვერ აუდიოდნენ. ზოგიერთი მწერალი, აბეზარ შეკითხვებს გარიდებული, გემბანზე ბოლთას სცემდა, ან ჰორიზონტს გაჰყურებდა. გემზე გაუთავებლად ეზიდებოდნენ ბუტერბროდებს და გამაგრილებელ სასმელებს, ღვინოსაც – ოღონდ შარშანდელი "მწარე" გამოცდილებიდან გამომდინარე, შეზღუდული რაოდენობით. ფოტოგრაფი გურამ წიბახაშვილი ტრაპთან ტრიალებდა და გაიძახოდა: ფოტო უფასოდ, ფოტო იაფად, - ცდილობდა როგორმე ერთად მოეყარა თავი გემის მთელი შემადგენლობისათვის. მერე მოვიდა ქალაქის მერი, რომლისგანაც შევიტყვეთ, რომ "დიოგენესა" და ღვინო "ძველი თბილისის" მიერ დაწესებულ სპეციალურ პრიზებთან ერთად, ქალაქის მერიაც დააწესებს პრიზს. ეს არ იქნება ფულადი პრემია, ეს იქნება სუვენირი (ჯერ-ჯერობით საიდუმლოა, თუ რა), რომელიც თემატურად საპორტო ქალაქთან იქნება დაკავშირებული.



და მიცურავს გემი...

ყველაზე აფორიაქებული მაინც კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ჟიურის წევრი ჯარჯი აქიმიძე ჩანდა. ხუმრობა ხომ არ გახლავთ ამდენ ხალხზე - ცალკე მწერლებზე და ცალკე ჟურნალისტებზე, ერთდროულად ზრუნვა.

საათმა თორმეტს ჩამოჰკრა და პენ-მარათონის ყველაზე დაძაბული მომენტიც დადგა. ჯარჯი აქიმიძემ გახსნა დალუქული კონვერტი და წაიკითხა საკონკურსო ეპიგრაფი, რომელიც კონკურსის მონაწილეებმა ოცდაოთხი საათის განმავლობაში დაწერილ მოთხრობას უნდა წაუმძღვარონ": "უსაფრთხო ხომალდები, ხმელეთზე ამოთრეული ხომალდებია".

გემი ნაპირს მოსწყდა...

# წარმოშობით პერკუსიონისტი

## ბილი კობემი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" დღეს ახალ პროექტს წარმოადგენს

ვერა ნეფარიძე

"ისთერნ პრომოუშენისა" და "აჭარა მიუზიკ ჰოლის" მოწვევით თბილისში მეორედ ჩამოვიდა ცნობილი მუსიკოსი ბილი კობემი. კონცერტი დღეს საღამოსაა დაგეგმილი და როგორც ორგანიზატორები ამბობენ, რეპერტუარი აბსოლუტურად განსხვავებული იქნება იმისგან, რაც კობემმა თბილისელ მელომანებს სამი წლის წინათ მოასმენინა.

ჯაზის სამყაროში არსებობს ორი პარამეტრი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ რა ყალიბისაა ესა თუ ის შემსრულებელი. პირველი, ესაა კანის ფერი, რომელიც აუცილებლად შავი უნდა იყოს (რასობრივი დისკრიმინაცია თეთრკანიანების მიმართ) და მეორე - მაღალი დონის ჯაზ მუსიკოსს უნდა ჰქონდეს შესრულებული ჯაზის სხვა მამებთან და დედებთან, რომელთაც შინაურულად "ასებს" უწოდებენ. თბილისის დღევანდელი სტუმარი ბილი კობემი ორივე მოთხოვნას მაქსიმალურად აკმაყოფილებს.

შავკანიან ბილი კობემს დაუკრავს ჯაზის "ასების" სხვადასხვა თაობებთან. მათ შორის არიან: მაილს დევისი, ქაუნთ ბეისი, გილ ევანსი, ჰერბი ჰენკოკი, ჯორჯ ბენსონი, ჯონ მაკლაფლინი და "მაჰავიშნუ ორკესტრა", ქუინსი ჯონსი, სონი როლინზი, პიტერ გებრიელი, - ალბათ უფრო მარტივი იქნება მათი ჩამოთვლა, თუ ვისთან არ დაუკრავს ამ მუსიკოსს. ეს იყო ადრე, მუსიკალური კარიერის დასაწყისიდან უკანასკნელ წლებამდე. ამჟამად ბილი კობემი ძირითადად, თავისთვის უკრავს. რაც შეეხება მის ჟანრობრივ ჩარჩოებში მოქცევას: კრიტიკოსთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ის გაჩენილია კლასიკური სვინგისათვის, ნაწილი კი - რომ ფიუჟენია მისი ხვედრი. თუმცა, ამას რა გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენთვის.



ბილი კობემი თბილისში მეორედ ჩამოვიდა.

ალბათ გაგვიჭირდება მოვძებნოთ ადამიანი, ვისზეც ამხელა ზეგავლენა მოახდინა წინაპართა საქმიანობამ, როგორც ეს ბილი კობემის შემთხვევაშია. მუსიკოსის წინაპრები და ნათესავები აწარმოებდნენ ლითონის პერკუსიებს, რომლებსაც აბორიგენები კონგას უწოდებენ. სწორედ ისინი იყო პატარა ბილის გატაცების საგანი. შემდეგ ბილი გაიზარდა, თანაც უბრალოდ დიდი კი არა, დიდი დრამერი გახდა, რაც თავისთავად იშვიათი მოვლენაა ჯაზურ მუსიკაში, რადგანაც ვარსკვლავობას აქ ძირითადად ვოკალისტები და პიანისტები იბრალებენ.

ყველა დროის ერთ-ერთი დიდებული დასარტყამ ინსტრუმენტებზე შემსრულებელი ბილი კობემი 1944 წლის 16 მაისს დაიბადა პანამაში. სამი წლის ასაკში ოჯახთან ერთად ნიუ იორკში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც გაიზარდა. სამხედრო ორკესტრში დასარტყამ ინსტრუმენტალისტად მუშაობის შემდეგ, კობემი 1968 წლიდან დაახლოებით ერთი წელიწადი, პიანისტ ხორეს სილვერას ანსამბლში იყო. ამის შემდეგ იგი სტუდიურ მუსიკოსად მუშაობდა. ამ დროისათვის კობემმა ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა, რომ 70-იანების დასაწყისში ფიუჟენის მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელაც აღიარეს. მას შემდეგ, კობემი ბევრისთვის დღესაც ორიენტირია ფიუჟენის შემსრულებელთა შორის. მაილს დევისთან და ჯონ ჯონ მაკლაფლინის Mashavishnu Orchestra-სთან წარმატებული ერთობლივი საკონცერტო გამოსვლების შემდეგ, კობემი სუპერვარსკვლავი გახდა. სწორედ მაშინ, 1973 წელს მან ჩაწერა თავისი ცნობილი ალბომი Spectrum, რომელიც ჟურნალმა "ბილბორდმა" ჯაზის საუკეთესო ალბომად აღიარა. ახლახან ალბომი ხელახლა გამოსცეს ისეთი მუსიკოსების მონაწილეობით, როგორებიც არიან: ლი სკლარი (ბასი), ტომი ბოლინი (გიტარა), გერი ჰასბანდი (კლავიშები). კობემის პოპულარობის პიკი კი იყო 90-იანები, როდესაც ჩამოაყალიბა საკუთარი პროექტი Jazz is Dead. პროექტი იმითაც იქცევდა მელომანების ყურადღებას, რომ ის სტილისტური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

დღეს ჩვენ შეგვიძლია გადავამოწმოთ, რატომ ამტკიცებენ, რომ ბილი კობემი შესრულების შესანიშნავი ტექნიკით გამოირჩევა; რომ მისი დაუჯერებელი მუსიკალური პლასტიკურობა და გამორჩეული ენერგიულობა, მის ყოველ გამოსვლას განუმეორებელს ხდის; ან რატომ არიან კობემის მუდმივ "კლიენტებს" შორის: ჯეიმს ბრაუნი, ლარი კორიელი, ჰერბი მენი, ჯონ მაკლაფლინი, მაილს დევისი, კარლოს სანტანა და ჯეკ ბრუსი. დღევანდელი კონცერტი კი იმათაცაა გამორჩეული, რომ ბილი კობემი თბილისში პირველად წარმოადგენს თავის ახალ პროექტს Culture Mix. პროექტს კობემი ოთხ მუსიკოსთან (სტეფან რეიდმახერი – ბასი, პერ გადი – გიტარა, მარკოს აბედა – ქიბორდი, ჯუნიორ გილი – პერკუსია) ერთად შემოგვთავაზებს.

# „უნდა იცხოვრო ცოდვაზე დიდხანს"

## ბესიკ ხარანაულის წიგნისა და "არეტეს" პრეზენტაცია "პარნასში"

ქეთევან ნიჟარაძე

გუშინ, "პარნასში" ერთდროულად ორი პრეზენტაცია გაიმართა – ახლადდაარსებულმა გამომცემლობა "არეტემ" მკითხველს თავისი პირმშო – ბესიკ ხარანაულის "წიგნი ამბა ბესარიონისა" წარუდგინა.

პრეზენტაციაზე პოეტის შემოქმედების უამრავმა თაყვანისმცემელმა, მეგობარმა, თუ მედიის წარმომადგენელმა მოიყარა თავი. ბესიკ ხარანაული ავტოგრაფების დარიგებასა და ჟურნალისტებთან საუბარს ძლივს აუდიოდა.

კრიტიკოსმა ლევან ბრეგაძემ მიულოცა ბესიკ ხარანაულს და "არეტეს" წიგნის გამოცემა და "პარნასში" შეკრებილ საზოგადოებას პოეტის ახალ წიგნზე ესაუბრა: "თუ ბესიკ ხარანაულის შემოქმედებას მთაგრეხილის სახით წარმოვიდგენთ, ჩემი აზრით, სამი მწვერვალი უნდა გამოვყოთ: 60-იანი წლების "ხეიბარი თოჯინა", 80-იანი წლების პოლემიკის საგანი - "კარტოფილის ალება" და ჩვენი თვალთახედვის არეში ამოზრდილი "წიგნი ამბა ბესარიონისა". ამ მწვერვალის მისადგომებთან კი, როგორც როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, მაღალი მთებია – "აგონია", "გიორგი", გრძელსათაურიანი პოემა ვაჟაზე. მე ამ ნაწარმოებებს დავამატებდი "მკვდრების სიმღერას", რომლის თემა გაიშალა და გაფართოვდა დღეს წარმოდგენილ წიგნში. სწორედ აქ არის ბესიკ ხარანაულისეული ერთ-ერთი საოცრად მოქნილი და ტევადი ფრაზა – "უნდა იცხოვრო ცოდვაზე დიდხანს". ამ ფრაზა-აფორიზმის მიღმა კი უზარმაზარი ქრისტიანულ-ინტელექტუალური ველი იშლება".



ბესიკ ხარანაულის ახალი წიგნი გამომცემლობა "არეტეს" პირმშოა.

"წიგნი ამბა ბესარიონისა" პოეტის აზრით დემოკრატიულია, რადგან მას არ ჰყავს გმირი. თუმცა, მთავარი პერსონაჟი, რომელიც შეიძლება მხოლოდ პირობითად ვუწოდოთ ამბა ბესარიონს, გარიყულია. ის ბავშვის, მოხუცის, წმინდანის, მაწანწალას ზღვარზეა. ნაწარმოები პერსონაჟთან ერთად, იმ ლაბირინთს მიჰყვება, რომლის მიხედვითაც მოძრაობს ადამიანის ფიქრი.

"ეს წიგნი არ არის პოეზია ან პროზა, ეს არის ადამიანის თავისუფალი, შეუზღუდავი ფიქრისა და თხზვის შესაძლებლობა. ყოველივე ეს კი ფრაგმენტებადაა მოცემული, მოცემული რადგან ჩვენ არ გვაქვს გადაბმული ფიქრები – ღმერთმა არ მოგვცა საშუალება, რომ ჩვენმა აზრმა კულმინაციას მიაღწიოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანის ფიქრისა და თხზვის შესაძლებლობა, მდინარის დინების მსგავსად, თავისთავადი და განუსაზღვრელია", – ამბობს ბესიკ ხარანაული.

ვფიქრობ, ნაწარმოების მიზანს, შინაარს, ფორმასა და ქარგას კარგად გამოხატავს პოეტის ერთი ციტატა ახალი წიგნიდან: "ამ წიგნში მკითხველის მოსატყუებლად საკენკი არ ყრია, არც მხსნელი ძაფია სადმე გამობმული, არც თავსატეხია ამოსახსნელი... მასში მხოლოდ და მხოლოდ გულწრფელობაა, კაცის უაზრო, თავდაუტანებელი თავგადასავალი, როცა იგი – არავინაა, როცა იგი – არაფერია, როცა იგი – თვითონაა..."

ახალი წიგნის შესახებ "არეტეს" ერთ-ერთ გამომცემელს მალხაზ ხარბედიას ვესაუბრე: "წიგნი ამბა ბესარიონისა" ძალიან საინტერესო და ორიგინალურია. არა მხოლოდ ბესიკ ხარანაულის შემოქმედებისთვის, არამედ დღევანდელი ქართული ლიტერატურისთვისაც, რადგან ეს ამ ფორმის პირველი წიგნია. აქ არის მუხლებად დაყოფილი პროზა, აფორიზმები, ლექსები, რომელიც შეიძლება ითქვას, ერთ სიუჟეტურ ქარგაზეა აგებული. "წიგნი ამბა ბესარიონისა" ამ ათი წლის მანძილზე იწერებოდა და ბოლო პერიოდში სამ ნაწილად გამოქვეყნდა "არილში". ასე, რომ საზოგადოების ნაწილი უკვე იცნობს მას, თუმცა წიგნი ფართო მკითხველისთვისაა განკუთვნილი. დარწმუნებული ვარ, "წიგნი ამბა ბესარიონისა" შესძლებს, გარკვეული კათარზისის ეფექტი მოახდინოს მკითხველზე, რაც დღევანდელობას ასე ესაჭიროება".

"პარნასში" ხალხი დიდხანს არ დაშლილა.

ტექნიკური მიზეზების გამო, ჩვენი გაზეთის შაბათის ნომრის C 2 გვერდზე გაიპარა სავალალო შეცდომა, რისთვისაც გიხდით ბოდიშს. ინტერვიუ ბატონ რეზო ესაძესთან მთავრდება P.S.-ით, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს:

P.S. "ახლახან ვნახე რეზო ესაძის ფილმი "ნეილონის ნაძვის ხე". ჩემი აზრით, ეს ნამდვილი შედევრია. ქართული კინო სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა, კოლორიტული, ფილოსოფიურად ნათელი, ძალიან ბრძნული და ბავშვური. აქ ყველაფერია იმისათვის, რომ თვალზე ცრემლი მოგადგეს. ეს კი, უნდა ითქვას, არც ისე იოლია".

*ფედერიკო ფელინი.*

# წიგნის ბედი გმირის ბედია

## დეფის "P.S."-ის პრეზენტაცია "პარნასში"



დეფი პრეზენტაციაზე

ქეთევან ნიჟარაძე

"პარნასში" დავით გოგიბედაშვილის (დეფი) მოთხრობების კრებულის "P.S."-ის პრეზენტაცია გაიმართა. თუმცა, კლასიკური ლიტერატურის გმირებთან გასაუბრებას მხოლოდ პირობითად თუ დავარქმევთ მოთხრობას - ეს წიგნი ერთგვარი ბიბლიოპოლისია, სადაც წიგნების გმირები იყრიან თავს.

დეფისთვის "P.S." რიგით მეოთხე წიგნია. პირველად მან ესსეების კრებული - "მკვდარი დრო" გამოსცა, რასაც მოჰყვა ნოველები "ქალაქი, რომელიც დამუნჯდა" და ნოველებად დაყოფილი რომანი - "ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვოს." ახალ წიგნში კი ავტორი გმირებს ესაუბრება, რადგან "წიგნის ბედი გმირის ბედია". აქ ვხვდებით ილიას განდეგილს, აკაკის საფარ-ბეგს, ევრიპიდეს მედეას, ჰემინგუეის მოხუცს... გმირების არჩევას კი, როგორც თავად მწერალი ამბობს, განაპირობებს ნაწარმოებში არსებული კონფლიქტი მოვლენების განვითარებასა და გმირის ხასიათს შორის.

"გმირის თითოეულ სიტყვაში ჩანს მისი ხასიათი, საქციელის თავისებურება. საქციელს უნდა სდევდეს ბედისწერა, ბედისწერას კი წინააღმდეგობა. წიგნის ბედი მკითხველზეა დამოკიდებული, ისევე, როგორც ყველა ჟანრის ხელოვნება – აღმქმელზე", ამბობს დეფი. მისი მიდგომა განსაკუთრებულია ბედისწერისადმი. მწერალი ერთ-ერთ მოთხრობას ასე იწყებს: "ყოველდღიურობა წინადადებაა და კაცის ცხოვრება ზოგჯერ ტექსტად აღიქმება; იკითხება, როგორც ბედისწერა, სადაც ყოველი სიტყვა მისივე საქციელითაა ნაწერი". გმირებთან საუბარში უამრავი კითხვა იბადება და ისინიც ზოგჯერ ორაზროვნად, მაგრამ გულწრფელად პასუხობენ.

მწერლისა და მისი შემოქმედების შესახებ მის მეგობრებს ვესაუბრე.

მამუკა ბერიკა: "დეფი ქარიზმატული ადამიანია, ხშირად მიმართავს ექსპერიმენტებს. დღეს წარმოდგენილი წიგნი მისი შემოქმედების ერთ-ერთი ფორმაა, სადაც, როგორც ყოველთვის, საკუთარ თავს გამოხატავს და ინარჩუნებს თვითმყოფადობას".

სერგი გვარჯალაძე: "მე, საერთოდ, არა ვარ მაღალი ლიტერატურის მოყვარული, ჩემთვის მთავარი გულწრფელობაა. მე და დეფი ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ. ჩემთვის მისი ნაწარმოებები ადვილად გასაგებია, ალბათ იმიტომ, რომ სწორედ გულწრფელობით გამოირჩევა. დღევანდელი კრებული მისი ტელევიზიაში წლების მანძილზე მოღვაწეობის ნაყოფია".

"საარის" მიერ გამოცემული "P.S." მწერლის ახალი წიგნის – "დეკემბრის თილისმის" ერთგვარი წინასიტყვაობაა. ამ კლასიკური რომანის პრეზენტაციას ერთ კვირაში გეგმავს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა". "დეკემბრის თილისმა", როგორც დეფიმ აღნიშნა, შენაძენსა და დანაკარგზე, ბედნიერებასა და ბედისწერაზე მოგვითხრობს.

# ხელოვნება კოსმოსში



ენდი უორჰოლის ექსპოზიცია

*ენდი უორჰოლის ასო, ჯგუფ Blur-ის მათემატიკური მუსიკა და თანამედროვე ხელოვნების სხვა ნაწარმოებები კოსმოსს სივრცულ არტ-გალერეად გადააქცევენ.*

"ბიგლ 2", ავტომატური, კვლევითი ხომალდი, რომელსაც სისწრაფისა და სიიაფის გამო "მარსიანულ ექსპრესსაც" უწოდებენ, მარსზე გაემგზავრა. იქ ის პლანეტის ზედაპირს კარტოგრაფირებას გაუკეთებს, მოძებნის წყალს მისი ზედაპირის ქვეშ, შეაგროვებს გრუნტის ნიმუშებს და საბოლოოდ დაიკარგება, ისევე როგორც მისი წინამორბედები.

ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი მხატვარი დემიან ჰერსტი, ყველანაირი პრემიის მფლობელი, ყველაზე მდიდარი თანამედროვე მხატვრებს შორის, რომელმაც სახელი გაითქვა ფორმალინში დაკონსერვებული ზვიგენით, მარსზე თავის სურათს აგზავნის. თუმცა ეს არა მხოლოდ სურათია, არამედ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ახალი ნიმუში. სინთეტიკური საღებავებით ფოლადის ფირფიტაზე სხვადასხვა ფერის წრეებია დახატული, ეს ნამუშევარი აუცილებელია რობოტ-მკვლევართა ფერთა აღქმის თვითმომართვისთვის. თავად ჰერსტი იმედოვნებს მარსიანელი კრიტიკოსების თბილ მიღებას. "თუ მათ თვალები აქვთ, ეს მოეწონებათ" – უთხრა "ბი ბი სის" მხატვარმა.

თუმცა მხოლოდ ეს არ არის. როკ-ჯგუფმა Blur, "ბიგლისთვის" შექმნა ამოსაცნობი ნიშნები, რაზეც ჯგუფი 1999 წლიდან მუშაობდა. ამოსაცნობი ნიშნები წარმოადგენს მოკლე მუსიკალურ ფრაზას, რომელშიც მათემატიკური ფორმულა არის დაშიფრული. ასე რომ, ხელოვნება კვლავ ადამინების სამსახურშია. ეს თითქმის უნიკალური შემთხვევაა, როცა ხელოვნება ასეთი სახით გამოიყენება კოსმოსში.

თუმცა კოსმოსის მუზეუმად გადაქცევა დიდი ხანია დაიწყო. თუ არ ჩავთვლით თანამგზავრს, რომელიც დღემდე გიჟური პოპულარობით სარგებლობს, როგორც არტ-ობიექტი. ხელოვნების ისტორია კოსმოსში ძალიან ადრე დაიწყო.

თავიდან "აპოლონ-12"-მა მთვარის ზედაპირზე ჩაიტანა პირველი არტ-ობიექტი – კერამიკული ფირფიტა, რომელზეც მხატვრებმა თავიანთი ქვეცნობიერი დაიტანეს. რობერტ რაუშენბერგმა სწორი ხაზი გაავლო, კლაუს ოლდენბერგმა მიკი-მაუსი დახატა, ჯონ ჩემბერლენმა, ფორესტ მაიერსმა და დევიდ ნოვროსმა გეომეტრიული ფიგურები დახატეს. იმ დროის ყველაზე მნიშვნელოვანმა მხატვრმა, ენდი უორჰოლმა კი ადამიანის ასო დახატა.

ამ სიაში შემდეგი იყო ჰოლანდიელი მხატვარი პოლ ჰეიდონკი, რომელმაც შექმნა ძეგლი დაღუპული ასტრონავტებისთვის. ძეგლი მთვარეზე "აპოლონ 15"-ის ექსპედიციამ ჩაიტანა. ძეგლი საკმაოდ მოკრძალებულია – ეს არის დაფა იმ კოსმონავტების სახელებით, რომლებიც კოსმოსის ათვისების დროს დაიღუპნენ. დაფა მცირედ არის ჩაფლული მთვარის გრუნტში.

1995 წელს სადგური "მირი", რომელიც ეხლა აღარ არსებობს, გახდა პირველი არტ-გალერეა. მის კედლებზე ხელოვნების 20 ნიმუში ეკიდა, გარდა ამისა 80 ციფრული სურათი იყო კოსმონავტ ტომას რაიტერის ნოუთბუქში.

ასე რომ, ისლა დაგვრჩენია, თანამედროვე არტ-ობიექტებს სამუდამოდ დარჩენა ვუსურვოთ.

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადებების კუპონი
მიიღება მხოლოდ კერძო პირების განცხადებები
ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვაკანსიები, მომსახურება, სამუშაო, მაკლერობა

8.06.03 N-155

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი “კოსმოსი”-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.
“ქართული ლიგა” (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

## აფიშა

### თეატრები

**მარჯანიშვილის თეატრი**
“პილატე”, რეჟ. თემურ ჩხეიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3-6 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
“ჰენრიხ მეოთხე”, რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი

**თეატრალური სარდაფი**
“ზღაპრიდან ცხადში”, რეჟ დალი მესაბლიშვილი
დას: 15:00 სთ
“ფიგაროს ქორწინება”, რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**გრიბოედოვის თეატრი**
“ტერეზა რაკენი”, რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 1,50-3 ლარი

### კლუბები

**„აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
ბილი კობემი და Culture Mix
დას: 22 სთ; ფასი 40,80 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**შარდენი**
ოლეგ გოჩაკიძის ნამუშევრების გამოფენა
**უნივერსი**
ირაკლი სუთიძის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
“ჭუკა ცხვირა”
დას: 12:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
“მატრიცა 2”
დას: 14:00; 19:00 სთ; ფასი 7-9 ლარი
“მდევარი”
დას: 17:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი"**
“მაუგლი 2”
დას: 15:30; ფასი 5 ლარი
“X მენი 2”
დას: 17:00; 18:30; 22:00 სთ; ფასი 7,9 ლარი

## TV პროგრამა 7 ივნისი

### რუსთავი - 2
08.00 კლასიკა
09.00 კურიერი
09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები
10.00 ჯადოქარი
10.45 „ოქროს ვარდის გამოქვაბული“
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.10 სერიალი „კოლომბო“
18.00, 00.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო“
19.00 მხ. ფილმი
21.00, 01.00 კურიერი
21.45 ჩვენი ეზო
22.00 60 წუთი
23.00 „ჯეოსელის კინოკლუბი“ - „მე ჯაშუში ვარ“ 877 45-79-25 ოუენ უილსონი, ედი მერფი,“კალათბურთელის დღიური“ 877 45-79-26, ლეონარდო დი კაპრიო, მარკ უოლბერგი, „სამუდამოდ“ 877 45-79-27 ჟან როშფორი, სანდრინ ბონერი.
01.15 მხ.ფ. „მისი ოცნების ქალი“ მთ. რ-ში: ჯეიმს სპეიდერი.
03.15 კლასიკა..

### პირველი არხი
08.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „მსაჯული დრედი“
10.00 „დილის პაემანი“
11.05 „დიდი დასვენება“
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა“
12.40 „პრეს-სტუდია“
13.30 დოკ. ფილმი „გაუმარჯოს მსოფლიოს“
14.05 საკვირაო გამოფენა
14.25 არათბილისური ამბები
15.00 მოამბე
15.15 სპექტაკლი „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“
17.30 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი“
18.00 ტაიმ-აუტი.
18.20 სახსოვარი
18.50 დოკ. ფილმი
19.25 ჩვენი მისამართია
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 ნ. ნიკოლაიშვილის საღამო
22.15 მეალომანია
22.50 მხ. ფილმი „ხევსურული ბალადა“
00.20 ტაიმ-აუტი
00.50 მხ. ფილმი „იშვიათი ფრინველები“.

### პირველი სტერეო
10.00 ტოროლა
13.00 გან. ათეული
13.45 ფილმი
15.45 სოლო
16.00 ფილმი „სტიუარტ-ლიტლი-2“ მთ.რ-ში ჯინა დევისი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
21.15 უცხ. მუსათეული
22.30 პროფათეული
23.00 სოლო
00.00 „ბრავო“ „პირისპირ“ მთ.რ-ში ჰავიერ ბარდემი.
01.40 „ღამურა“ „ქახილი 3“.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი
19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 დოკ. ფილმი
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი“

### კავკასია
12.00 მხ. ფილმი „სახლი თურქულ ქუჩაზე“
13.30 მხ. ფილმი „პონეტი“
15.00 მხ. ფილმი „სამი სურვილი“
17.00 მხ. ფილმი „კლდე“
19.00 ინდ. მხ. ფილმი „სიყვარული“
22.00 მხ. ფილმი „სახის გარეშე“
00.20 მხ. ფილმი „გლეიდი 2“.

### იბერია
08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „პატიოსანი კურტიზანი ქალი“
10.20 მულტფილმი
12.30 გადაცემა - მურადა (განმ.)
13.00 მუსიკალურ ტალღაზე
15.00 ქიმერიონი
17.00 ოპერა
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „განადგურების პროცესი“
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 სერიალი „საჰაერო პოლიცია“
23.50 მხ. ფილმი „ელმერ გრანტი“
01.00 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი
09.30 დღის ამბები
09.50, 19.15, 20.15, 22.15, 00.20 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.25 მულტსერიალი „სიმბა და მეფე ლომი“
11.00 „საუბრები სტუდიაში“
12.00 „ცხელი ცხრიანი“
12.50 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი-2“
15.00 მუს. სპექტაკლი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“
17.35 მულტფილმი „ტომი და ჯერი“
18.00 დოკ. ფილმი „საოცარი სპორტი“
19.00 „ბელისიმო“. პროკოფიევის იუბილე
19.30 „მსოფლიო ფეხბურთი“
20.00 „ოსტატები“
20.40 სერიალი „ფერადი ცხოვრება“ მე-3ს.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები“. „გზაზე“
22.30 მხ. ფილმი „ოპერატიული მუშაკები“
00.30 მხ. ფილმი „ციმბირელი დალაქი“.

### იმედი
08.59 ქრონიკა
09.05, 15.05, 18.00, 01.25 იმედის მელოდიები
10.20 ანიმაციური სერიალი „ფანტომეტა“
10.50 სერიალი „ნირო ვულფი“
12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.00 ქრონიკა
13.05 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
13.30 თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“
14.30 სპორტ. პროგრამა „ასი“
15.25 ქართ. ფილმი „კუკარაჩა“
17.05 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“
18.30 დოკ სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“
19.30 სერიალი „შტოკინგერი“
20.30 ჩ-კლუზივი
21.00 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი“
22.45 „მუღამები“
23.10 მხ. ფილმი „უსახელო ვარსკვლავი“.

### აჭარა
08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 მულტსერიალი“ტომი და ჯერი“
09.50 „ყველანი ვართ პატარები“
10.00 სათავგადასავლო ფილმი „ჰაერის კვირტი-4“
11.30 Слово
12.10 „სამყარო მშვენიერია“ ბავშვები და ხელოვნება
12.15 მუსიკალური კომედია „კონკია“
15.05 მუსიკა
15.10 დოკუმენტური ფილმი
16.10 „სამყარო მშვენიერია“ ბავშვები და ხელოვნება
16.15 მულტფილმი „ოლივერი და კომპანია“
17.30 დრამა „ჟანა დ არკი“ 2 ს.
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.20 „სამყარო მშვენიერია“ ბავშვები და ხელოვნება
19.25 დოკუმენტური ფილმი
20.30 მხატვრული ფილმი „აფონია“
22.20, 00.20 Новости в воскресенье
22.40 Величественное наследие
23.00, 00.40 მუსიკა
23.30 „ქალბატონები“
01.00 თრილერი „ვინა ვარ მე“
03.20 ისტორიული ფილმი „ელ სიდი“

### VII არხი
18.10 „ლა-ლა-ლა“
19.00 „აჩიკუდა“
19.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.45 ავტოტრეკინგი
20.30 კომპიუტერული თამაშები
20.40 რაგბი - ავსტრალია - ირლანდია
22.25 კომპიუტერული ტექნიკა
23.00 კინოკლუბი „ - „პატარა კომედიები“- მე-2 სერია
00.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ -ესპანეთის ჩემპიონატი.
02.20 აუდიო-ვიდეო-ტელე.

### ОРТ
07.10 Сериал „Китайский связной“
08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Приключения Геркулеса“
09.00 Сериал „Твинисы“
09.20 „Служу Отчизне!“
09.50 Дисней-клуб: „Легенда о Тарзане“
10.10 „В мире животных“
11.10 „Непутевые заметки“
11.30 „Пока все дома“
12.05 „Дог-шоу“
12.55 „Тайны забытых побед“. „Его ракетное величество“
13.25 „Клуб путешественников“
14.05 Умницы и умники
14.35 Дисней-клуб: „Геркулес“
15.10 „Властелин вкуса“
16.05 „Большие родители“. Г.Маленков
16.30 „Слабое звено“
17.30 „Ералаш“
17.55 Док.сериал „Живая природа“
19.00 „Времена“
20.10 „КВН-2003“. Высшая лига
22.30 „Театр кукол с М. Леонтьевым“.
23.00 Боевик „Подъем с глубины“
00.55 Бокс. Артуро Гатти - Микки Уорд
01.55 Триллер „Опасные мысли“

### РТР
07.00 Худ.фильм „Алые паруса“
08.20 Мультфильм „Мореплавание Солнышкина“
08.40 Мультсериал „Джеки Чан“
09.20 „Русское лото“
10.05 „ТВ Бинго-шоу“
10.35 Местное время. Вести - Москва. Неделя в городе
11.15 „Утренний разговор“
11.45 „В „Городке“. Отчет за май „
12.20 Комедия „Боинг-Боинг“
14.10 „Парламентский час“
15.00 Вести
15.20 „Вокруг света“
16.15 „Диалоги о животных“
17.20 „Мир на грани“
17.55 „Комната смеха“
18.50 Комедия „Клуб первых жен“
21.00 Вести недели
22.10 „Специальный корреспондент“
22.35 Худ.фильм „Западня“
00.55 Худ.фильм „Девятые врата“
03.35 Сериал „Семь дней“
04.25 „Русские идут“. Бокс. Бои профессионалов

### НТВ
07.15 Худ.фильм „Василий Буслаев“
08.35 Худ.фильм „Полундра!“
09.00, 13.00, 17.00 „Сегодня“
09.20 Сериал „Голубое дерево“
10.40 Лотерея „Шар удачи“
11.10 Сериал „Любовь вдовца“
12.05 „Вы будете смеяться!“
12.15 „Растительная жизнь“
12.50 Играем в „Кено“
13.15 „Влияние“
14.05 Детектив „Круг“
15.55 „Вкусные истории“
16.05 „Своя игра“
17.20 „Экстремальный контакт. Лимонная акула“
17.50 „Принцип „Домино“. „Вред и польза русской бани“
19.10 Комедия „Кто такой Гарри Крамб?“
20.50 Боевик „Агент национальной безопасности“.
22.00 „Намедни“
23.30 Худ.фильм „Каждое воскресенье“
02.30 Сериал „Клан Сопрано“
03.25 „Журнал Лиги чемпионов“. Обзор сезона

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*




## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება კერძო სახლი ეზოთი საბურთალოზე. 37-68-81 (22 სთ-დან 23 სთ-მდე).

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საავარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით “რუსთავი 2”- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

## კომერც. ფართი

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

## მანქანები

**იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.**

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

შევასწავლი გერმანულ ენას. ტელ: 32-03-71, მობ. 899 298805

## სხვადასხვა

რეალურ ფასებში! დაგიმზადებთ და დაგიმონტაჟებთ რკინის კარებს, გისოსებს, ჟალუზებს, ფარდა-ჟალუზებს და სხვა ლითონნაკეთობებს. ტელ: 95-38-11.

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე “ჩარგალის” პირდაპირ) – კაფე “ცეზო”.**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 584855**

**კომპიუტერული ცენტრი „TOPOS“ გთავაზობთ**
უახლესი კომპიუტერული პროგრამების შესწავლას, საწყისი პროგრამების ფასი 10 ლარი. მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი ლიტერატურით. გაიცემა სერთიფიკატი.
**მის.: „კოლმეურნეობის მოედანი“, პირიმზის შენობა, VI სართული. ტელ: 93-52-24, 899 186686.**



ჩოგბურთი

# ჟიუსტინ ენინი "როლან გაროსის" ჩემპიონია

"ემოციებით ძალიან დატვირთული ვარ, რადგან აქედან მიწევს საუბარი. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ გამარჯვებაში დამეხმარა. გამარჯვებისკენ მთელი გულით მივილტვოდი და, მგონი, გამოვძებნე საჭირო ძალისხმევა, რომელიც ამ წარმატებისთვის აუცილებელი იყო", - მატჩის შემდეგ ამბობდა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ტრიუმფატორი, ჟიუსტინ ენინ-არდენი. ვარტუში, კოსტანიჩი, რანდრიანტეფი, შნაიდერი (19), რუბინი (8), სერენა უილიამსი (1) და ბოლოს კიმ კლიისტერსი - ასეთია ჟიუსტინ ენინის გამარჯვებათა ნუსხა. დამეთანხმებით, ასეთი შთამბეჭდავი სერიის შემდეგ ენინისთვის "როლან გაროსის" კორტებზე გამარჯვება, მართლაც, ალალი იყო. მით უფრო, რომ ამ შვიდი ბრძოლიდან ჟიუსტინ ენინს მხოლოდ ორჯერ დასჭირდა სამი სეტი თავისი უპირატესობის დასადასტურებლად.

"ჟიუსტინზე უკვე მოგახსენეთ, რომ ძალიან კარგი ჩოგბურთელია. ვფიქრობ, "როლან გაროსზე" გამარჯვება ალალია მისთვის", - თქვა ანრი ლეკონტმა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სერენა უილიამსის დამმარცხებელი ენინი ხელიდან გაუშვებდა ამ შანსს. ფინალის წინ მან, მეტოქესთან შედარებით, გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა და ეს უპირატესობა პირველივე სეტში მკაფიოდ გამომჟღავნდა. საფრანგეთის ჩემპიონმა ერთი გეიმიც არ დაუთმო ამბიციურ თანამემამულეს კიმ კლიისტერსს. 6:0 - ასეთია პირველი სეტის შედეგი.



ჟიუსტინ ენინი ჩემპიონის სარგო თასით

**პარიზი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "დიდი სლემის" ტურნირი. ფინალი.**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 4) - კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2) | 6:0, 6:4 |

კლიისტერსი მხოლოდ ამის შემდეგღა მოეგო გონს და მეორე სეტის შუაგულში თითქოს მდგომარეობა გამოასწორა. მან ენინის მოწოდებაც კი მოიგო და ანგარიში გაათანაბრა - 4:4, მაგრამ გუშინ ნამდვილად არ იყო მისი დღე. ენინმა სწრაფადვე შეიტანა მატჩში გარდატეხა. მეტოქის მოწოდება მოიგო და ნათელი გახდა, რომ გამარჯვებას ხელიდან აღარ გაუშვებდა. გადამწყვეტ გეიმში თავის მოწოდებაზე ჟიუსტინ ენინს პრობლემა აღარ შექმნია. ამ გეიმში კლიისტერსმა ერთადერთი ბურთის ჩაგდებაღა მოახერხა. ბოლო გათამაშებაზე კი უნებლიე შეცდომა დაუშვა და წერტილი დაუსვა ფინალურ მატჩს.

"ჟიუსტინს გულით ვულოცავ გამარჯვებას, მაგრამ, ამასთან, ძალიან ვწუხვარ ჩემი წაგების გამო. თითქოს თამაშის გამოსწორებასთან ახლოს ვიყავი, მაგრამ ჩემი ძალისხმევა ძალიან დაგვიანებული აღმოჩნდა", - მატჩის შემდეგ განაცხადა კიმ კლიისტერსმა.

რაგბი

# ლონდონი სჯობს კარდიფს

პაატა თოთაძე

გასულ კვირას კარდიფის შვიდკაცასთან შედარებით, მსოფლიო სერიის ბოლო ეტაპზე, ლონდონის შვიდკაცაზე საქართველოს ნაკრებმა უკეთესი შედეგი აჩვენა. მართალია, ტურნირი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ პირველ დღეს ნაჩვენებმა შედეგებმა ქართველებს წინა ტურნირთან შედარებით უკეთესი ადგილის დაკავების შანსი მისცა.

ჯგუფურ ეტაპზე ბორჯღალოსანთა მეტოქეები ინგლისის, შოტლანდიისა და არგენტინის ნაკრებები იყვნენ. მათგან ქართველებმა მხოლოდ ინგლისთან წააგეს 7:19, შოტლანდიას და არგენტინას კი, შესაბამისად, 7:0 და 12:5 მოუგეს. ორმა მოგებამ საქართველოს ნაკრებს თასისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი მისცა. მეოთხედფინალში ბორჯღალოსანთა მეტოქე A ჯგუფში პირველ ადგილზე გასული ახალი ზელანდიის გუნდი იყო. ზელანდიელები სერიას ლიდერობდნენ და პირველობის მოსაპოვებლად აუცილებლად ნახევარფინალში უნდა გასულიყვნენ. მსოფლიოს საუკეთესო გუნდისთვის ეს ერთგვარად დამატებითი სტიმული იყო და ზელანდიელებმაც ქართველებს არავითარი შანსი არ დაუტოვეს – 31:7 და ნახევარფინალში ფიჯისთან თამაშის უფლება მოიპოვეს. თავის მხრივ, ფიჯელებმა, რომლებიც C ჯგუფიდან გავიდნენ შემდეგ ეტაპზე სამხრეთაფრიკელებთან ერთად, მეოთხედფინალში ავსტრალიელებს სძლიეს. ზელანდიელებთან მარცხის შემდეგ ქართველები სინისთვის ბრძოლაში ჩაებნენ და ნახევარფინალში სწორედ ავსტრალიის ნაკრებს შეხვდნენ. ზელანდიელებთან მატჩის მსგავსად, ბორჯღალოსნებს არც მატჩის მოგების შანსი ჰქონდათ – 0:26 დამარცხდნენ და ტურნირზე გამოსვლაც დაასრულეს.

თასის მეორე ნახევარფინალში კარდიფის შვიდკაცას გამარჯვებული სამხრეთ აფრიკის ნაკრები მასპინძელს – ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდება. მეოთხედფინალში ინგლისელებმა იტალიელებს სძლიეს – 50:0, აფრიკელებმა კი უელსელებს – 47:0.

რაც უნდა ითქვას, საქართველოს ნაკრების თამაში მაინც ერთგვარ წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ. მართალია, ჩვენი გუნდი საერთო ჩათვლაში უქულოდ დარჩა, მაგრამ ისეთ მეტოქეებთან ჭიდილში, როგორებიც ინგლისი, შოტლანდია და არგენტინა არიან, ჯგუფიდან გასვლაც დიდი საქმეა. ახალზელანდიელები და ავსტრალიელები კი რასაც წარმოადგენენ სარაგბო სამყაროში, ყველამ კარგად იცის და მათთან ბორჯღალოსანთა მარცხსაც თითქმის ყველა შეგუებული იყო.

NBA

# საკრალური მესამე მეოთხედი

**სან-ანტონიო სფურსი - ნიუ-ჯერსი ნეთსი 85:87**
*(სერიის ანგარიში 1:1)*

NBA-ის ფინალში ორი სუპერვარსკვლავი თამაშობს: ტიმ დანკანი და ჯეისონ კიდი და იმაზე, თუ რომელი ვარსკვლავი იქნება გუნებაზე, ბევრად არის დამოკიდებული ჩემპიონატის გამარჯვებულის ბედი. ფინალური სერიის პირველ შეხვედრაში უკეთეს გუნებაზე ტიმ დანკანი იყო და "სან-ანტონიო სფურსმაც" უპრობლემოდ გაიმარჯვა. მეორე მატჩის წინ კი, როგორც ჩანს, სან-ანტონიოს ლიდერი მარცხენა ფეხზე ადგა. სამაგიეროდ, ჯეისონ კიდს ეტყობოდა მონდომება და ანგარიში გათანაბრდა.

მატჩი უაღრესად რთული და დაძაბული გამოდგა. პრინციპში, ფავორიტი სან-ანტონიო იყო. თუმცა, ნიუ-ჯერსის ძალიან უნდოდა, NBA-ის ფინალებში თავისი არსებობის ისტორიაში პირველი გამარჯვება მოეპოვებინა. პირველ ორ მეოთხედში სან-ანტონიო სტუმრებს, ასე თუ ისე, წინააღმდეგობას უწევდა.

მესამე მეოთხედში კი კიდმა და კომპანიამ მოახერხა და წინ გაიჭრა. საერთოდ, ამ გუნდების დაპირისპირებაში ყოველთვის მესამე მეოთხედი ხდება გადამწყვეტი. პირველ შეხვედრაში სწორედ მესამე მეოთხედი გახდა "ნეთსისთვის" საკრალური. მაშინ "სფურსმა" 34:9 მოიგო და გამარჯვების მიღწევა აღარ გასჭირვებია. მესამე მეოთხედის შუაგულისთვის "ნეთსი" უკვე 15 ქულას იგებდა - 62:47.

"სფურსი" იძულებული გახდა, უდიდესი ძალისხმევის ხარჯზე, მდგომარეობა რაღაცნაირად გამოესწორებინა და ქულათა დეფიციტი როგორმე აღმოეფხვრა. განსაკუთრებით თავი გამოიდო "სფურსის" ფრანგმა პლეიმეიკერმა ტონი პარკერმა, რომელიც, საბოლოოდ, თავისი გუნდის შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა (21). სწორედ ტონი პარკერის დამსახურებაა, რომ მასპინძლებმა თითქმის გაათანაბრეს ანგარიში - 79:80. აქ კი ჯეისონ კიდმა თქვა თავისი სიტყვა.




გუშინ ჯეისონ კიდის ჯერი იყო

მატჩის განმავლობაში ნიუ-ჯერსიმ 87 ქულა მოაგროვა. ამათგან ბოლო 7 ქულის ავტორი სწორედ ჯეისონ კიდია. ამ ფონზე კი პარკერის დამსახურება უფერულად გამოიყურებოდა. რაც შეეხება ტიმ დანკანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარასკევს ის ნამდვილად არ იყო გუნებაზე და, მიუხედავად იმისა, რომ 19 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა, გადამწყვეტ მომენტებში თავისი გუნდის დახმარება ვერ შეძლო.

"ჩვენ ვიცოდით, რომ პლეი-ოფის ფინალურ სერიაში ზედიზედ მერვე მატჩს აღარ წავაგებდით. მართალია, სან-ანტონიო იშვიათად კარგავს საკუთარი თავის რწმენას, ამჯერად ჩვენ უფრო ძლიერნი აღმოვჩნდით", - მატჩის შემდეგ განაცხადა ჯეისონ კიდმა. კიდს არაერთხელ უთქვამს, რომ გუნდს დატოვებს, თუ NBA-ის ჩემპიონატს ვერ მოიგებს. ბედის ირონიით კი, მის შეძენაზე ყველაზე დიდ პრეტენზიას სწორედ "სან-ანტონიო სფურსი" აცხადებს.

"ვიცი, რომ "სფურსი" დაინტერესებულია ჩემით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ტონი პარკერი, რომელიც კარგად შეეწყო გუნდს და დღევანდელ მატჩშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო", - ამბობს კიდი, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, რომ თუ ფინალში სან-ანტონიო დამარცხდება, ტონი პარკერს შემცვლელს ნამდვილად მოუძებნიან. ასეთ შემთხვევაში კი უდავოდ საინტერესო იქნება, როგორ მოიქცევა ლიგის საუკეთესო გამთამაშებელი ჯეისონ კიდი.

კრივი

# ლუისს ჩხუბი არ ეღირსა

21 ივნისისთვის დაგეგმილი ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონ ლენოქს ლუისსა და ტიტულის მაძიებელ კანადელ კირკ ჯონსონს შორის დათქმულ დროს არ გაიმართება. ამის მიზეზი კანადელი მოკრივის ტრავმა გახდა. მომავალი ბრძოლის სამზადისისას ჯონსონმა მკერდის კუნთი დაიზიანა. მწვრთნელის თქმით, ჯონსონმა ტკივილი მკერდის არეში სპარინგის დროს აპერკოტის დარტყმისას იგრძნო.

"ძალიან დამწუხრებულები და იმედგაცრუებულნი ვართ მომხდარის გამო. კირკი მშვენიერ ფორმაში იყო და ლუისის დამარცხების არცთუ მცირე შანსიც ჰქონდა, მაგრამ რა გაეწყობა. ჩვენ უახლოეს მომავალში მოლაპარაკებას დავიწყებთ ლუისის მენეჯერებთან, რომ ბრძოლა აგვისტოსთვის ან სექტემბრისთვის გადავიტანოთ", - განაცხადა კანადელი მოკრივის მენეჯერმა დინო დუვამ.

თავად ჯონსონს ტრავმა დიდად არ აღელვებს, რადგან დარწმუნებულია, რომ ლუისი ბრძოლის გადატანაზე დათანხმდება. "როგორც ჩანს, ტრავმა ჯერ კიდევ სამშაბათს მივიღე, თუმცა, მცირე ტკივილისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ოთხშაბათს, პრესკონფერენციის შემდეგ, მკერდის არეში უფრო დიდი ტკივილი ვიგრძენი. ამის გამო ხუთშაბათს საერთოდ არ მივარჯიშია, პარასკევს კი ექიმს მივაკითხე. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, კუნთი მაქვს დაზიანებული, რომლის აღდგენასაც 5-6 კვირა დასჭირდება. დარწმუნებული ვარ, ლუისი ბრძოლის გადატანაზე უარს არ იტყვის", - ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა ჯონსონმა.

რატომაა ჯონსონი ასე დარწმუნებული, რომ ლუისი თანახმა იქნება, გაუგებარია. მართალია, ინგლისელ მოკრივეს ხელი აქვს მოწერილი ხელშეკრულებაზე, რომელიც ბრძოლის გადატანას ითვალისწინებს, მაგრამ იქ წერია, რომ ეს იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მოკრივე თავისი მიზეზით არ მიიღებს ტრავმას. ამ შემთხვევაში კი ჯონსონის ტრავმის მიზეზი მოკრივის უყურადღებობაა, რაც, სპეციალისტთა თქმით, ლუისს კონტრაქტის გაწყვეტის უფლებას აძლევს.

რაკი არ იქნება ლუის-ჯონსონის ჩხუბი, ვერც გასახურებელი კლიჩკო-ბოსველის ორთაბრძოლა გაიმართება. ასეთ შემთხვევაში ლუისი, შესაძლოა, კლიჩკოსთან ჩხუბს დათანხმდეს. ასეთი ვარაუდი უკვე გამოითქვა ევროპულ და ამერიკულ პრესაში და ისიც აღინიშნა, რომ ეს ბრძოლა გაცილებით დიდ ინტერესს გამოიწვევს, ვიდრე ლუისისა და ჯონსონის დაპირისპირება.

ინფოთეკა

## ევროპის 2004 წლის შესარჩევი ტურნირი

| | | | |
|---|---|---|---|
| მალტა - კვიპროსი | 1-2 | უკრაინა - სომხეთი | 4-3 |
| ისრაელი - სლოვენია | 0-0 | ესპანეთი - საბერძნეთი | 0-0 |
| რუმინეთი - ბოსნია | 2-0 | მაკედონია - ლიხტენშტაინი | 3-1 |
| დანია - ნორვეგია | 1-0 | სლოვაკეთი - თურქეთი | 0-1 |
| მოლდოვა - ავსტრია | 1-0 | ბულგარეთი - ბელგია | 2-2 |
| ბელარუსი - ჰოლანდია | 0-2 | ესტონეთი - ანდორა | 2-0 |
| სან-მარინო - შვედეთი | 0-6 | ფინეთი - სერბია-ჩერნოგორია | 3-0 |
| უნგრეთი - ლატვია | 3-1 | ირლანდია - ალბანეთი | 2-1 |
| შოტლანდია - გერმანია | 1-1 | შვეიცარია - რუსეთი | 2-2 |
| ისლანდია - ფარერები | 2-1 | | |

## ძოლა "ჩელსის" ულტიმატუმს უყენებს

ამ კაცისას ვერაფერს გაიგებ. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ აპირებდა დიდი ფეხბურთიდან წასვლას, "ჩელსის" ფანებს ლამის დაჩოქილებს ახვეწნინა, არ მიგვატოვოო და საბოლოოდ ლონდონში კიდევ ერთი სეზონით დარჩა. 2003 წლის ზაფხულში ვითომ კარიერა უნდა დაესრულებინა, მაგრამ ახლა ისეთ გუნებაზეა, კიდევ დიდხანს აპირებს მოედანზე დარჩენას.

36 წლის ჯანფრანკო ძოლა იმდენად კარგ ფორმაშია, რომ, ფეხბურთიდან წასვლა კი არა, აზარტით განიხილავს სხვადასხვა კლუბიდან მიღებულ წინადადებებს და თან "ჩელსის" ემუქრება, თუ ისეთ კონტრაქტს არ შემომთავაზებთ, როგორიც მე მინდა, სხვა გუნდში გადავალო. ძოლა ძალიან უყვართ "ჩელსის" ფანებს. ეს "არისტოკრატთა" ხელმძღვანელობამაც კარგად იცის და იძულებულია, დაემორჩილოს იტალიელი ფორვარდის ახირებებს. ასეთი გადიდგულების საფუძველს ძოლას ის აძლევს, რომ მისი გადაბირება "კიევოს" და "კალიარის" სურთ, კატარშიც მზად არიან იტალიელი ფორვარდის მისაღებად. ჰოდა, ძოლაც სარგებლობს მომენტით და ინგლისელებს კონტრაქტის პირობებს თავად კარნახობს: "ჩელსიში" სიამოვნებით დავრჩები, თუ სასურველ ხელშეკრულებას შემომთავაზებენ. კლუბის ხელმძღვანელობას შვიდ დღეს ვაძლევ მოსაფიქრებლად. თუ კონტრაქტი არ დამაკმაყოფილებს, გუნდს დავტოვებ", - გადაჭრით ამბობს იტალიელი.

## ვიერი "ინტერიდან" არ წავა!

აცხადებს მილანელთა არგენტინელი თავკაცი ექტორ რაულ კუპერი და ცდილობს, საბოლოოდ გაფანტოს ხმები "ბობოს" "იუვენტუსში" გადასვლის შესახებ. ტურინელები არ მალავენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ ვიერის ხელში ჩასაგდებად. იტალიის ჩემპიონს ხომ მართლაც სჭირდება "ბობოს" მსგავსი ძლიერი თავდამსხმელი.

კუპერი დარწმუნებულია, რომ "ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი ვიერის არავითარ შემთხვევაში არ შეელევა. ის კი არა, კუპერის და მორატის თავად სურთ რამდენიმე კარგი ფეხბურთელის შეძენა, რათა "ინტერმა", ბოლოს და ბოლოს, მომავალ სეზონში მაინც შეძლოს რაიმე ტიტულის მოგება.

"ჯერჯერობით არ მინდა იმ ფეხბურთელთა დასახელება, ვის შეძენასაც ვისურვებდი. "ინტერს" დღევანდელი შემადგენლობითაც შეუძლია დიდი მიზნებისთვის ბრძოლა. მომავალ სეზონში აუცილებლად უნდა მოვიგოთ, სულ მცირე, "სკუდეტო" მაინც", - კუპერი, როგორც ყოველთვის, ახლაც იმედიანადაა განწყობილი.

## ტოტი "რომას" მომავალზე ფიქრობს

გასული წარუმატებელი სეზონის შემდეგ ფრანკო სენსის "რომას" ერთადერთ ნუგეშად უეფას თასის ტურნირის საგზური დარჩა. რომაელთა კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი ტიფოზებს ტრიუმფალურ დაბრუნებას ჰპირდება, რისთვისაც მას აუცილებლად მიაჩნია გუნდის ახალი ფეხბურთელებით გაძლიერება.

ტოტიმ უკვე იცის, ვისი მოსვლაც გახდის "რომას" კიდევ უფრო სოლიდურს და დიდი სურვილი აქვს, ფრანკო სენსიმ და ფაბიო კაპელომ სერიოზულად იფიქრონ ამ ფეხბურთელების შეძენაზე. "პირველი, ვისაც "რომაში" სიამოვნებით ვიხილავდი, "იუვეს" ნახევარმცველი ედგარ დავიდსი გახლავთ. მას დიდი პოტენციალი აქვს და ჩვენთვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. მეორე, ვის შეძენასაც ვისურვებდი, ესპანელი ხოაკინი გახლავთ. როგორც იცით, კაფუ "რომადან" მიდის და მისი ადგილი თავისუფალი რჩება. ხოაკინი ბრაზილიელის იდეალური შემცვლელი იქნებოდა. მესამე კანდიდატი კი ფრანგი ფორვარდი ჯიბრილ სისე გახლავთ. ჩემი აზრით, ის კარგად მოერგება "რომას", - ამბობს ტოტი.

ფაბიო კაპელო, უკვე დიდი ხანია, ფრანკო სენსის ოთხი ახალი ფეხბურთელის შეძენას სთხოვს. "რომა", სავარაუდოდ, რამდენიმე ტრანსფერს განახორციელებს და სენსის არ აწყენდა, თავისი კაპიტნის რჩევები გაეზიარებინა.

## "ვალენსია" ფორვარდს ეძებს

ჩემპიონთა ლიგის ორგზის ფინალისტი, წლევანდელ სეზონში კი მეოთხედფინალიდან გამოვარდნილი "ვალენსია" ისევ ძველი პოზიცების დაბრუნებას ცდილობს და ისეთ ფორვარდს ეძებს, მოსვენებას რომ დაუკარგავს მეტოქე გუნდების მცველებს. ესპანელებმა ჯერ ტურინის "იუვენტუსის" ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე ამოიღეს მიზანში, შემდეგ კი, რაკი ტურინელებისგან საიმედო პასუხი ვერ მიიღეს, "მაიორკას" დაუპირეს ფორვარდის წართმევა.

აფრიკელი სამუელ ეტოო "ვალენსიას" ხელმძღვანელობას ძალიან მოსწონს და კუნძულელებს მის სანაცვლოდ 16 მილიონ ევროს სთავაზობს. ეტოო "ვალენსიაში" გადასვლის პერსპექტივამ იმდენად მოხიბლა, რომ თავის აგენტებს, ხავიერ გარსიას და ხოსე მესასს დაავალა, "მაიორკას" პრეზიდენტთან მოლაპარაკება დაიწყონ და ისე მოახერხონ, რომ ის სეზონის დასაწყისში "ვალენსიაში" აღმოჩნდეს.

**ფეხბურთი.** ლონდონის "არსენალმა" იტალიის "იუვენტუსის" კარის დარაჯის ჯანლუიჯი ბუფონის ყიდვა განიზრახა. იტალიური მედიის ინფორმაციით, ინგლისელები მზად არიან, ბუფონის სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა გაიღონ. ამასთან, თანხის გარდა, ტურინელები სილვენ ვილტორდსაც მიიღებენ. "იუვენტუსის" ოფიციალური პოზიცია ამ საქმესთან დაკავშირებით უცნობია, თუმცა, იტალიურ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ, ადვილი შესაძლებელია, ტურინელები ლონდონელთა წინადადებას დათანხმდნენ.

**კრივი.** ტელეარხ "Showtime"-ის აღმასრულებელი დირექტორის ჯეი ლარკინის თქმით, მომავალ ბრძოლას მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი კოსტია ცზიუ მოსკოვში, ექსჩემპიონ შარმბა მიტჩელთან გამართავს. ბრძოლის თარიღი დიდი ხნის წინ იყო ცნობილი – 27 სექტემბერი. ადგილი კი გუშინ დადგინდა – ბრძოლა მოსკოვში გაიმართება.

მოკრივეები ორი წლის წინათაც შეხვედრიან ერთმანეთს. მაშინ WBC ვერსიის ჩემპიონმა ცზიუმ სწორედ მიტჩელს დაათმობინა WBA-ს ჩემპიონობა.

**ოლიმპიზმი**. ტელეკომპანია NBC-მ მოიპოვა უფლება, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გამართული 2010 წლის ზამთრისა და 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები აჩვენოს. ამის შესახებ გუშინწინ განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ. საკონტრაქტო თანხა 2 201 000 000 დოლარია, რაც 32%-ით მეტია გასული ოლიმპიადის საკონტრაქტო თანხასთან შედარებით.

**კალათბურთი.** ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მაიკლ ჯორდანი მომღერალ კარლა ნაფელის შვილის მამაა, სიცრუეა. ასეთი განცხადება გააკეთა სახელოვანი კალათბურთელის ადვოკატმა ფრედ სპერლინგმა სასამართლოზე. კარლამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში ჯორდანის წინააღმდეგ და მისგან 5 მილიონი დოლარი მოითხოვა.

კალათბურთელმა მომღერალთან 1991 წელს გაწყვიტა ურთიერთობა და თანახმა იყო, იმ ტკივილისთვის, რომელიც მას მიაყენა, 250 000 დოლარი გადაეხადა, მაგრამ, ჩანს, კარლამ ეს არ იკმარა. ახლა ჯორდანი თავად უჩივის მომღერალს. სარჩელის მიზეზად მან კარლას მხრიდან ფულის გამოძალვა დაასახელა.

TV-სპორტი

**კვირა. 8 ივნისი**

НТВ + ФУТБОЛ
06:30 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის. არტურო გატი – მიკი უორდი
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 1997-98 წლების სეზონი. ბარსელონა – დინამო (კიევი)
16:10 "დარტყმა გოლის მიმართულებით"
16:25 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი "Montreux Volley Masters". მატჩი მე-3 ადგილისთვის
18:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 ხვალინდელი დღის პროგრამა
19:25 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი "Montreux Volley Masters". ფინალი
21:00 "FUTBOL MUNDIAL"
21:30 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის. არტურო გატი – მიკი უორდი
23:30 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მიმოხილვა
0:00 ბრაზილიის თასი. ფინალი. ფლამენგო – კრუზეირო
01:55 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 1997-98 წლების სეზონი. იუვენტუსი – რეალი

НТВ + СПОРТ
11:00, 14:15, 16:45, 20:45 პრეს-ცენტრი
11:15, 21:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი
14:30 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. სლოვენია - ხორვატია
15:30 სუმო
16:15 ცხენოსნობა
17:15 საჭადრაკო მიმოხილვა
18:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. ვაჟთა ფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი
21:05 ხვალინდელი დღის პროგრამა
21:10 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. სლოვაკეთი - რუსეთი
22:10 მძლეოსნობა. ძმები ზნამენსკების მემორიალი.
01:10 ახალი ამბები
01:25 ცურვა. "Mare Nostrum Swimming Series"

EUROSPORT
11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი
12:00 ფეხბურთი. ევრო-2004
13:00 მოტორბოლა. იტალიის გრან-პრი
18:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
20:45 ახალი ამბები
21:00 ფეხბურთი. ევრო-2004
01:00 ავტორბოლა. NASCAR
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი
02:30 მოტოკროსი
03:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი
04:00 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები

# ლამაზი სანდალი ლამაზ ფეხზე



ვის უნდა რიოში?..

რბილი პლასტმასის სანდლებს დასავლეთში "ჯელის" სახელით იცნობენ. ისინი ერთ სეზონზე თუ ძლებს. თუმცა, პოპულარობა მაინც არ აკლია, მით უმეტეს, წლევანდელ ზაფხულში, როდესაც მოდაშია ყველაფერი მხიარული, ყვავილოვანი და ფერადი. ამ ფონზე დრეკადი, ჭრელა-ჭრულა სანდლების გამოგონებას თითქმის ყველა სოლიდური ფირმა იჩემებს. ინგლისური "ბარბერისი" "ჯელის" სანდლებს 85 დოლარად ჰყიდის, იტალიური "ამატერასუს" "ჯელი" კი 150 დოლარი ღირს. თუმცა, ბოლო ხანს ყველაზე დიდ პოპულარობას მაინც ბრაზილიური Grandenne-ს სანდლები აღწევს. ეს იმიტომ, რომ მის პროდუქციას რეკლამას 19 წლის სუპერ-მოდელი ჟიზელი უწევს. გოგონა, რომელიც რიოში გაიზარდა, ახლა ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოდელია, მაგრამ შინ, იპანემას სანაპიროზე გასეირნება მაინც ყველაფერს ურჩევნია. ამიტომაც სიამოვნებით დათანხმდა Grandenne-ის წინადადებას და სანდლების ახალი კოლექციის რეკლამირებისთვის რიოში ერთი კვირით ჩავიდა.

ეს სტუმრობა დღესასწაული აღმოჩნდა ადგილობრივი მცხოვრებლებისთვისაც. იპანემას სანაპიროზე შეკრებილი ბრაზილიელები დიდ ხანს ტკბებოდნენ ჟიზელის სხეულის სილამაზით, რომელსაც ახალი სანდლის თუ ლამაზი ფეხების გამოსაჩენად ძალიან მოკლე და გამჭვირვალე ყვავილებიანი კაბა ეცვა. ჟიზელი კამერის წინ თავს ძალიან ბუნებრივად გრძნობდა, თითქმის მთელი დღის განმავლობაში დარბოდა, დახტოდა და მოკლედ, ოპერატორისთვის თუ ცნობისმოყვარე გამვლელებისთვის სიამოვნებით პოზიორობდა.

წარმოიდგინეთ, როგორ გაიზრდება "ჯელის" პოპულარობა მას შემდეგ, რაც ყველა გაიგებს, რომ ეს კომფორტული სანდელბი თვით ჟიზელსაც აცვია.








თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

## კროსვორდი





# ბრიჯი

გურამ ბერიშვილი

N10

მაგალითი შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატიდან წყვილთა შორის, დანიშნულია 3 უთულფო, გამთამაშებელი E.

N: ♠V 8 7 3 ♡7 4 3 2 ◇10 8 5 ♣D 2

W: ♠A D 9 6 ♡10 9 8 ◇V 9 4 ♣K 9 4

E: ♠10 4 ♡A K D 6 ◇K 6 3 ♣A V 6 5

S: ♠K 5 2 ♡V 5 ◇A D 7 2 ♣10 8 7 3

ჯერ აუქციონის შესახებ. ჩვენ მიერ აღწერილი ვაჭრობის ნატურალური სისტემით E-მ აუქციონი უნდა გახსნას "1♡"-ით, რადგან მას აქვს 18 ქულა და ორი ტოლი სიგრძის ფერი, გული კი მაჟორული ფერია. მას რომ ყვავში ერთით მეტი კარტი ჰქონდეს და ერთი ქულა მაინც, უმჯობესი იქნებოდა "1 უთულფო".

S-ს აქვს 11 ქულა. მას რომ 12 ქულა ჰქონდეს "კონტრ" იქნებოდა კარგი განაცხადი იმედით, რომ პარტნიორს აქვს აგური ან ჯვარი. თვით მას მეორე დონეზე ასვლა არ შეუძლია. და მაინც "კონტრ", რადგან უკეთესი განაცხადი არ ჩანს.

ამ ვითარებაში W-ს იდეალური განაცხადია "1♠", მას 10 ქულა აქვს 4 ყვავი და გულში 3.

N-ის იდეალური განაცხადი კი პასია, გული და ყვავი მოწინააღმდეგემ განაცხადა, ჯვარი და აგური თულფად არ უვარგა და ქულებითაც მწირია.

E-მ გაიგონა რა თავისი პარტნიორისაგან ყვავი უნდა ჩათვალოს, რომ საუკეთესო კონტრაქტი უთულფოა. E-დან "2 უთულფო" რათა აჩვენოს, რომ ქულებიც არ არის მინიმუმი.

საბოლოოდ W-მ უნდა დანიშნოს 3 უთულფო, მასაც არა აქვს მინიმუმი.

| E | S | W | N |
|---|---|---|---|
| 1♡ | კონტრ | 1♠ | პას |
| 2 უთ | პას | 3 უთ | პას |
| პას | პას | | |

რით უნდა დაიწყოს S-მა? არა გულით, სვლა მთავრდება E-სთან, გული კი მისი გამოცხადებულია. არა აგურით, პარტნიორთან K არ უნდა ეგულებოდეს. ესე იგი ჯვრით ან ყვავით. თუ გახსოვთ S-მა დაიწყო ყვავის ორიანით, რათა შექმნას ილუზია თითქოს K მასთან არ არის.

თამაშის გაგრძელება მეხუთე სვლამდე ისევე როგორც ჩემპიონატზე იყო.

| | S | W | N | E |
|---|---|---|---|---|
| 1 | ♠2 | ♠6 | ♠7 | ♠10* |
| 2 | ♠K | ♠A* | ♠3 | ♠4 |
| 3 | ♡5 | ♡8 | ♡3 | ♡A* |
| 4 | ♡V | ♡9 | ♡2 | ♡K* |
| 5 | ◇2 | ♡10* | ♡4 | ♡6 |

ამის შემდეგ ვიღებთ 3 ჯვარს, ყვავის და გულის D-ს და ვაძლევთ მეოთხე ჯვარს.

| | S | W | N | E |
|---|---|---|---|---|
| 6 | ♣3 | ♣4 | ♣D | ♣A* |
| 7 | ♣7 | ♣K* | ♣2 | ♣5 |
| 8 | ♠5 | ♠D* | ♠8 | ◇3 |
| 9 | ♣8 | ♣9 | ♡7 | ♣V* |
| 10 | ◇7 | ♠9 | ♠V | ♡D* |
| 11 | ♣10* | ◇4 | ◇5 | ♣6 |
| 12 | ◇A* | ◇9 | ◇8 | ◇6 |
| 13 | ◇D | ◇V | ◇10 | ◇K* |

S იძულებულია გაგვითამაშოს აგურის K.

დღეს მინდა გაგაცნოთ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დიალოგი, როდესაც აუქციონი იხსნება განაცხადით "1 უთულფო". ეს ნიშნავს, რომ თქვენ პარტნიორს აქვს 16 - 19 ქულა და ფერებში კარტის რაოდენობით თანაბარი განაწილება (4 - 3 - 3 - 3). პასუხისათვის ძალიან კარგი საფუძველია მომზადებული.

თუ მოპასუხე ძალიან სუსტია, მაშინ გადასაწყვეტია, რა უფრო უსაფრთხოა უთულფო თამაში თუ თამაში თულფოთ. თუ თქვენც თანაბარი განაწილება გაქვთ და სუსტი ხართ, ბუნებრივია, ამბობთ "პას". თუ შიშობთ, რომ უთულფო სახიფათოა, ანუ თქვენ ძალიან არათანაბარი განაწილება გაქვთ, მაშინ ამბობთ თქვენ გრძელ ფერს მეორე დონეზე, რაზეც თქვენმა პარტნიორმა აუცილებლად უნდა განაცხადოს "პას". ეს სავალდებულოა, თქვენ მასზე უფრო ინფორმირებული ხართ და იღებთ გადაწყვეტილებას, თქვენი პარტნიორი უნდა დაგემორჩილოთ. თუ იგი ასე არ იქცევა, გირჩევთ სხვა პარტნიორი იპოვოთ. თქვენც, ბუნებრივია, უნდა გაითვალისწინოთ ყველაფერი ეს და თუ გეიმის თამაშის რაიმე შანსია, არ უნდა გააკეთოთ განაცხადი მეორე დონეზე. არის ერთი გამონაკლისი, 2♣! ეს ხელოვნური განაცხადი გამოიგონა ამერიკელმა ბრიჯისტმა P.Stayman-მა. ეს განაცხადი ძალიან ნაყოფიერი აღმოჩდა და მთელი ბრიჯის სამყარო ეფექტურად იყენებს მას. მისი არსი მარტივია. გეიმის შესასრულებლად რომელი უფრო სასარგებლოა 3 უთულფო თუ 4 რომელიმე მაჟორში? თუ არჩევანი ამათ შორისაა, ეს დროზე უნდა გაირკვეს. ამრიგად თუ აუქციონი გაიხსნა 1 უთულფოთი, მოწინააღმდეგე არ ჩაერია და თქვენ გაქვთ 4 კარტი გულში ან ყვავში, სვამთ შეკითხვას "2♣". პარტნიორმა უნდა გიპასუხოთ:

2◇ - არც გულში მაქვს ოთხი და არც ყვავში,

2♡ - 4 კარტი მაქვს გულში,

2♠ - 4 კარტი მაქვს ყვავში,

2 უთულფო - არც გულში მაქვს ოთხი და არც ყვავში.

რა განსხვავებაა 2◇-სა და 2 უთულფოს შორის?

2◇ დამატებით ნიშნავს რომ პარტნიორს აქვს 16 ან 17 ქულა, ხოლო 2 უთულფო ნიშნავს, რომ პარტნიორს აქვს 18 ან 19 ქულა.

თქვენ საკმაოდ ინფორმირებული ხართ და იღებთ გადაწყვეტილებას ითამაშოთ გეიმი თულფით თუ მის გარეშე.

დავუბრუნდეთ ჩვენ პასუხებს აუქციონის "1 უთულფო" გახსნაზე.

ცხრილში მოტანილია ძირითადი პასუხების შინაარსი

| | |
|---|---|
| პას | 0 - 5 ქულა, თანაბარი განაწილება 4 კარტიანი ფერი მინორია |
| 2♣ | შეკითხვა: რომელში გაქვთ 4? გულში ან ყვავში 4 კარტი მაინც |
| 2◇ | 0 - 5 ქულა, უთულფოს თამაში საშიშია, აგურში 5 მაინც |
| 2♡ | 0 - 5 ქულა, უთულფოს თამაში საშიშია, გულში 5 მაინც |
| 2♠ | 0 - 5 ქულა, უთულფოს თამაში საშიშია, ყვავში 5 მაინც |
| 2 უთ | 6 - 9 ქულა, თანაბარი განაწილება 4 კარტიანი ფერი მინორია |
| 3♣ | ნახტომი: 12 ან მეტი ქულა, ჯვარში 5 ან მეტი კარტი |
| 3◇ | ნახტომი: 12 ან მეტი ქულა, აგურში 5 ან მეტი კარტი |
| 3♡ | ნახტომი: 12 ან მეტი ქულა, გულში 5 ან მეტი კარტი |
| 3♠ | ნახტომი: 12 ან მეტი ქულა, ყვავში 5 ან მეტი კარტი |
| 3 უთ | 10 ან მეტი ქულა, თანაბარი განაწილება, 4 კარტი მინორში |

თუ თქვენ 6 ქულაზე ნაკლები გაქვთ გეიმი ილუზორულია და ერთადერთი გადასაწყვეტია რა უფრო უსაფრთხოა თულფით თამაში თუ უთულფოდ. ამაზე უკვე ვისაუბრეთ.

თუ თქვენ ექვსი ქულა გაქვთ გეიმი შესაძლებელია და თქვენ აცხადებთ "2 უთულფო" ან "2♣". პარტნიორი "2 უთულფოზე" ამბობს "პას" ქულების მინიმუმით და "3 უთულფოს" ქულების მაქსიმუმით.

სტეიმანის კონვენციაზეც უკვე ვისაუბრეთ.

დარჩენილი დრო მინდა დავუთმო ვითარებას, როდესაც შლემისაკენ მივდივართ. ვთამაშობთ შლემს თუ არა, ვთამაშობთ დიდ შლემს თუ მცირეს? გარდა ქულებისა ეს დამოკიდებულია ჩვენ წყვილთან ტუზების არსებობასთანაც. ამის გასარკვევად ამერიკელმა ბრიჯისტმა E.Blacwood-მა მოიგონა კონვენცია. სტეიმანის კონვენციის დარად, აცხადებთ რა "4 უთულფოს" ეს ნიშნავს, რომ ეკითხებით პარტნიორს ტუზების რაოდენობას. პასუხები პარტნიორთან შეთანხმებული უნდა იყოს. ერთ-ერთი შეთანხმებაა

5♣ - ტუზები არა მაქვს

5◇ - ერთი ტუზი მაქვს

5♡ - ორი ტუზი მაქვს

5♠ - სამი ტუზი მაქვს

არკვევთ რა ტუზების რაოდენობას, თქვენ წყვეტთ ითამაშოთ თუ არა შლემი და როგორი. არის ამის გაგრძელებაც. თუ თქვენ გადაწყვეტთ რომ გინდათ გაარკვიოთ R-თა რაოდენობა, სვამთ შემდეგ შეკითხვას "5 უთულფო", რომელზეც პასუხები ანალოგიურია. ბრიჯისტებმა განავითარეს ეს კონვენცია და მოიფიქრეს სხვადასხვა შემოკლებული ვარიანტები. ამაზეც შემდგომ.

N11

შვედებისა და იტალიელების შეხვედრა.

N: ♠A 10 3 2 ♡V ◇A 7 2 ♣A D 10 5 2

W: ♠D ♡K D 10 9 8 4 2 ◇D 8 3 ♣8 6

E: ♠V 9 7 5 4 ♡5 3 ◇9 6 5 4 ♣7 4

S: ♠K 8 6 ♡A 7 6 ◇K V 10 ♣K V 9 3

ერთ ოთახში შვედი Peter Fredin (W) და Magnus Lindkvist (E) იტალიელ Lorenzo Lauria (N) და Alfredo Versace (S)-ის წინააღმდეგ, ხოლო მეორე ოთახში შვედი Fredrik Nystrom (S) და Peter Bertheau (N) იტალიელ Norberto Bocchi (E) და Giorgio Duboin (W)-ის წინააღმდეგ. პირველ ოთახში იტალიელებმა 7♣ შეუკვეთეს (გამთამაშებელი N), მეორე ოთახში შვედები 6♣-ით დაკმაყოფილდნენ და აიღეს კიდეც 12. ბიულეტენში, საიდანაც ეს მაგალითი ავიღე მხოლოდ პირველი ოთახის აუქციონია. იგი შემდეგნაირად წარმართულა

| N | E | S | W |
|---|---|---|---|
| Lauria | Lindkvist | Versace | Fredin |
| 1♣ | პას | 2♣ | 3♡ |
| 4♣ | პას | 4♠ | პას |
| 4 უთ | პას | 5♡ | პას |
| 5 უთ | პას | 7♣ | პას |
| პას | პას | | |

თქვენ როგორ წარმართავდით აუქციონს და გათამაშებას?